

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 ივნისის №01-06/09
რიგგარეშე სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის
ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფორმირების
განყოფილების უფროსის მ.შ: გიორგი მგზავრიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე



ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № --

2022 წლის -- ივნისი

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №10 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: სსმ, ვებგვერდი www.matsne.gov.ge, 30/12/2021, სარეგისტრაციო კოდი:190020020.35.134.016334) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 და დანართი №2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

თავი I

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	12 355 951	16 628 455	18 736 144	18 736 144	0
გადასახადები	7 127 711	9 198 100	11 422 565	11 422 565	0
გრანტები	4 991 643	6 962 883	6 834 079	6 834 079	0
სხვა შემოსავლები	236 597	467 472	479 500	479 500	0
ხარჯები	6 705 226	8 996 498	10 888 200	10 888 200	0
შრომის ანაზღაურება	3 049 173	3 331 263	4 051 541	4 051 541	0
საქონელი და მომსახურება	1 119 304	1 678 330	2 376 070	2 376 070	0
პროცენტი	17 344	18 000	18 400	18 400	0
სუბსიდიები	1 241 318	1 613 320	2 190 960	2 190 960	0
გრანტები	3 917	0	0	0	0
სოციალური უზრუნველყოფა	556 663	914 585	1 020 979	1 020 979	0
სხვა ხარჯები	717 507	1 441 000	1 230 250	1 230 250	0
საოპერაციო სალდო	5 650 725	7 631 957	7 847 944	7 847 944	0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4 795 617	8 338 280	9 273 044	9 273 044	0
ზრდა	4 918 147	8 368 280	9 303 044	9 303 044	0
კლება	122 530	30 000	30 000	30 000	0
მოლიანი სალდო	855 108	-706 323	-1 425 100	-1 425 100	0
ფინანსური აქტივების ცვლილება	828 318	-733 323	-1 452 100	-1 452 100	0
კლება	-828 318	733 323	1 452 100	1 452 100	0
ვალუტა და დეპოზიტები	-828 318	733 323	1 452 100	1 452 100	0
ვალდებულებების ცვლილება	-26 790	-27 000	-27 000	-27 000	0
კლება	26 790	27 000	27 000	27 000	0
საშინაო	26 790	27 000	27 000	27 000	0
ბალანსი	0	0	0	0	0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსულობები	12 478 481	16 658 455	18 766 144	18 766 144	0
შემოსავლები	12 355 951	16 628 455	18 736 144	18 736 144	0
არაფინანსური აქტივების კლება	122 530	30 000	30 000	30 000	0
გადასახდელები	11 650 163	17 391 778	20 218 244	20 218 244	0
ხარჯები	6 705 226	8 996 498	10 888 200	10 888 200	0
არაფინანსური აქტივების ზრდა	4 918 147	8 368 280	9 303 044	9 303 044	0
ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	0
ვალდებულებების კლება	26 790	27 000	27 000	27 000	0
ნაშთის ცვლილება	828 318	-733 323	-1 452 100	-1 452 100	0

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს ბიუჯეტის შემოსავლები 18 736 144 ლარის ოდენობით

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	12 355 951	16 628 455	18 736 144	18 736 144	0
გადასახდელები	7 127 711	9 198 100	11 422 565	11 422 565	0
გრანტები	4 991 643	6 962 883	6 834 079	6 834 079	0
სხვა შემოსავლები	236 597	467 472	479 500	479 500	0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 11 422 565 ლარის ოდენობით

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
გადასახადები	7 127 711	9 198 100	11 422 565	11 422 565	0
დამატებული ღირებულების გადასახადი	6 792 099	8 898 100	11 122 565	11 122 565	0
ქონების გადასახადი	335 612	300 000	300 000	300 000	0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	244 838	270 000	270 000	270 000	0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1 646	2 000	2 000	2 000	0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	3 284	0	0	0	0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	85 843	28 000	28 000	28 000	0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები(ტრანსფერები)

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 6 834 079 ლარის ოდენობით

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
გრანტები	4 991 643	6 962 883	6 834 079	6 834 079	0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	0	241 583	0	0	0
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი	2 292 492	5 671 300	5 784 079	5 784 079	0
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	1 600 000	300 000	300 000	300 000	0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	1 099 151	750 000	750 000	750 000	0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1 099 151	750 000	750 000	750 000	0
სპეციალური ტრანსფერი	1 099 151	750 000	750 000	750 000	0

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 479 500 ლარის ოდენობით

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
სხვა შემოსავლები	236 597	467 472	479 500	479 500	0
შემოსავლები საკუთრებიდან	106 289	331 672	343 700	343 700	0
პროცენტები	20 454	90 472	102 500	102 500	0
დეპოზიტებიდან ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	20 454	90 472	102 500	102 500	0
რენტა	85 835	241 200	241 200	241 200	0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	85 835	239 200	239 200	239 200	0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	0	2 000	2 000	2 000	0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	63 992	40 800	40 800	40 800	0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	50 511	31 000	31 000	31 000	0
სანებართვო მოსაკრებელი	37 237	1 000	1 000	1 000	0
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	37 237	1 000	1 000	1 000	0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	13 274	30 000	30 000	30 000	0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	13 482	9 800	9 800	9 800	0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	13 482	9 800	9 800	9 800	0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	23 871	55 000	55 000	55 000	0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	42 445	40 000	40 000	40 000	0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯები 10 869 800 ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ხარჯები	8 829 670	8 978 498	10 869 800	10 869 800	0
შრომის ანაზღაურება	3 308 853	3 331 263	4 051 541	4 051 541	0
საქონელი და მომსახურება	1 654 030	1 678 330	2 376 070	2 376 070	0
პროცენტი	0	0	0	0	0
სუბსიდიები	1 527 320	1 613 320	2 190 960	2 190 960	0
სოციალური უზრუნველყოფა	866 547	914 585	1 020 979	1 020 979	0
სხვა ხარჯები	1 472 920	1 441 000	1 230 250	1 230 250	0

მუხლი 8. არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 9 243 044 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 9 273 044 ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1 310 485	1 139 685	1 646 300	1 646 300	0
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0	0	0	0	0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	6 149 410	6 072 510	5 542 779	5 542 779	0
განათლება	272 300	287 300	143 100	143 100	0
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	674 735	625 385	1 552 865	1 552 865	0
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	243 400	243 400	388 000	388 000	0
სულ ჯამი	8 650 330	8 368 280	9 273 044	9 273 044	0

ბ) განისაზღვროს ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 30 000 ლარის ოდენობით, მათ შორის

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
არაფინანსური აქტივების კლება	122 530	30 000	30 000	30 000	0
ძირითადი აქტივები	11 733	10 000	10 000	10 000	0
არაწარმოებული აქტივები	110 797	20 000	20 000	20 000	0
მიწა	110 797	20 000	20 000	20 000	0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა 20 191 244 ლარის ოდენობით ფუნქციონალურ ჭრილში, მათ შორის:

ფუნქციონალური კლასიფიკაციის კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის	
					საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	3 795 990	3 724 428	4 951 405	4 951 405	0
7.11	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 727 780	2 687 628	3 311 265	3 311 265	0
7.111	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 627 780	2 557 628	3 171 265	3 171 265	0
7.112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	100 000	130 000	140 000	140 000	0
7.16	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	18 210	18 000	18 400	18 400	0
7.18	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	1 050 000	1 018 800	1 621 740	1 621 740	0
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	3 340 050	3 329 050	2 269 420	2 269 420	0
7.42	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	18 500	18 500	42 000	42 000	0
7.421	სოფლის მეურნეობა	18 500	18 500	42 000	42 000	0
7.45	ტრანსპორტი	3 108 870	3 097 870	1 892 420	1 892 420	0
7.451	საავტომობილო ტრანსპორტი	3 108 870	3 097 870	1 892 420	1 892 420	0
7.47	ეკონომიკის სხვა დარგები	212 680	212 680	335 000	335 000	0

7.473	ტურიზმი	212 680	212 680	335 000	335 000	0
7.5	დასუფთავება და გარემოს დაცვა	869 900	879 400	1 124 200	1 124 200	0
7.56	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	869 900	879 400	1 124 200	1 124 200	0
7.6	საბინაო_კომუნალური მეურნეობა	4 040 230	4 054 930	4 493 709	4 493 709	0
7.62	კომუნალური მეურნეობის განვითარება	2 168 690	2 168 990	2 474 259	2 474 259	0
7.63	წყალმომარაგება	904 940	819 340	919 450	919 450	0
7.66	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	966 600	1 066 600	1 100 000	1 100 000	0
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	858 200	902 200	974 960	974 960	0
7.76	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	858 200	902 200	974 960	974 960	0
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 628 690	1 602 320	2 820 650	2 820 650	0
7.81	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	712 590	685 590	934 400	934 400	0
7.82	მომსახურება კულტურის სფეროში	846 100	853 230	1 083 850	1 083 850	0
7.86	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	70 000	63 500	802 400	802 400	0
7.9	განათლება	2 313 850	2 301 650	2 648 700	2 648 700	0
7.91	სკოლამდელი აღზრდა	1 583 700	1 553 700	2 154 300	2 154 300	0
7.98	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	730 150	747 950	494 400	494 400	0
7.10	სოციალური დაცვა	571 300	570 800	908 200	908 200	0
7.107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	25 200	25 200	32 000	32 000	0
7.109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	546 100	545 600	876 200	876 200	0
სულ ბიუჯეტის გადასახდელები		17,418,210	17,364,778	20,191,244	20,191,244	0

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს ბიუჯეტის მთლიანი სალდო -1 425 100 ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება - 27 000 ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 140 000 ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდიდან თანხებს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომელიც მოიცავს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ გამოყოფს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური.

მუხლი 13. პასუხისმგებლობა

2022 წლის განმავლობაში ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებისათვის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისი მუხლის მიხედვით დამტკიცებული სახსრების განკარგვა განხორციელდეს დამტკიცებული შესყიდვების გეგმისა და მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე, რაზეც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება საბიუჯეტო ორგანიზაციასა და დაწესებულებას.

თავი II

ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამული კოდი 01 00)

მმართველობით სფეროში განხორციელებული პროექტები, მუნიციპალიტეტის მერიას აძლევს საშუალებას ბიუჯეტისაგან დამოუკიდებლად მოიძიოს ინვესტიციები და გააუმჯობესოს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

აღნიშნული მიმართულებები მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელი ორგანოების განვითარებისთვის და თანამედროვე მართვის სისტემის საფუძვლების დანერგვაში, რაც ხელს შეუწყობს პროგრამული ბიუჯეტის სრულყოფას.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	4 978 405
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	3 171 265
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	888 700
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	2 202 665
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	79 900
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	1 807 140
01 02 01	სარეზერვო ფონდი	140 000
01 02 02	მონაწილეობითი ბიუჯეტი	1 500 000
01 02 03	მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში	100 000

01 02 04	სასეხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	45 400
01 02 05	ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა	15 000
01 02 06	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამა	6 740

პროგრამის დასახელება	კოდი	მონაწილეობითი ბიუჯეტი	დაფინანსება ლარში
	01 02 02		1 500 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	ქედის მუნიციპალიტეტის მერია მონაწილეობით ბიუჯეტში 2018 წლის ბოლოს ჩაერთო. მუნიციპალიტეტი აღმასრულებელი ორგანო (მერია) მონაწილეობით ბიუჯეტირების პროცესში ძირითადად ახორციელებს შემდეგ საქმიანობას: 1) უზრუნველყოფს პროცესების ლოგისტიკური, საინფორმაციო, საექსპერტო და ტექნიკური მხარდაჭერას. მერია უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური მხარდაჭერით, მათ შორის: შენობებით, სტენოგრამის წარმოებით, ხმის აპარატურისა და საკომუნიკაციო საშუალებებითა და სხვა; 2) უზრუნველყოფს სახალხო ასამბლეების, რეგიონალურ და თემატურ ფორუმებისა და მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს წევრებისა და მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულებისა და მისადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებ შორის ეფექტიან კომუნიკაციასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას 3) მიმდინარე წელს პროგრამა განხორციელდება 2 ლოკაციაზე დაბა ქედის ადმინისტრაციულ ერთეულებსა და დოლოგნის ადმინისტრაციულ ერთეულებში. -		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მონაწილეობითი ბიუჯეტი, პრაქტიკაში გამოიყენებენ, როგორც (თანამონაწილეობითი ბიუჯეტირება) რომელიც ხელს უწყობს ინკლუზიური დემოკრატიას, იწვევს საჯარო სექტორის მოდერნიზაციასა, ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდას და წარმოადგენს მასსა და მოსახლეობას შორის დემოკრატიულ დიალოგისა და გადაწყვეტილების მიღების ეფექტიან პროცესს.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში	დაფინანსება ლარში
	01 02 03		100 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერია		

პროგრამის აღწერა	2018 წლიდან ქედის მუნიციპალიტეტის მიმართულებით გაიზარდა ინტერესი საგრანტო პროექტების განხორციელების მიმართულებით. აღნიშნულ პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობა მჭიდროდ თანამშრომლობდა მუნიციპალიტეტში შემოსულ დონორებთან. 2019 წლის დასაწყისში ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფის და არასამთავრობო ორგანიზაცია Cenn-ის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულმა ა(ა)იპ ქედის კულტურის სახლა და ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლამ მიიღო გრანტი 80 000 ლარის ოდენობით სადაც მუნიციპალიტეტის მერიის თანამონაწილეობა განისაზღვრებოდა 32 000 ლარით. ეს იყო პრეცედენტი სადაც ადგილობრივმა თვითმმართველობამ საგრანტო კონკურსის სახით მოიძია დამატებითი თანხები. აღნიშნული პროექტები 2019 წელს მიმდინარეობს და 4 წლით იგეგმება ქედის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა დონორების მიერ. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის და გამარჯვების შემთხვევაში ადგილობრივ თვითმმართველობას ესაჭიროება თანამონაწილეობის თანხა რაც საპროგნოზოდ 2022 წელში განისაზღვრება 100 000 ლარით.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამა გულისხმობს მუნიციპალიტეტის მიერ თანადაფინანსებით მონაწილეობას საგრანტო კონკურსებში, რომელსაც განხორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის მერია ან მის მიერ და ფუძნებული იურიდიული პირები ან და სხვა ორგანიზაცია ვინც მოიპოვებს შესაბამის დაფინანსებას და პროექტის მიზანი იქნება მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული, შემეცნებითი და სოციალური პროექტი, მოქმედი თუ შემოსული არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებენ საგრანტო კონკურს , რომელშიც მონაწილეობას ღებულს ადგილობრივი თვითმმართველობა რაც საშუალებას აძლევს მოიგოს პროექტი და განხორციელოს ქედის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სოციალური-ეკონომიკური მიმართულებით. ეს კი აძლევს საშუალებას ბიუჯეტისაგან დამოუკიდებლად მოიძიოს ინვესტიციები და გააუმჯობესოს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგმარეობა.

პროგრამის დასახელება	კოდი	ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა	დაფინანსება ლარში
	01 02 05		15 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური - ქალთა ოთახი		
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა შემუშავებულია ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შესაბამისად;		
	მიუხედავდ იმისა, რომ ქვეყანამ და მათ შორის ქედის მუნიციპალიტეტმა გარკვეული პროგრესი განიცადა გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით, მაინც დღის წესრიგში რჩება გარკვეული პრობლემები როგორცაა, ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა ოჯახის ეკონომიკურ საქმიანობებში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობა და ა.შ. მზარდი ფაქტები და მონაცემები ადასტურებენ, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების/წახალისების გარეშე შეუძლებელია. ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე გენდერული საკითხები გააქტიურებულია. დემოკრატიულმა პროცესებმა ქალთა ეკონომიკური აქტიურობის საკითხი დააყენა დღის წესრიგში, უდავოა რომ გენდერული თანასწორობა დემოკრატიული პროცესებისა და ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, ვინაიდან იგი დასაქმების, შემოსავლების ზრდისა და საყოველთაო კეთილდღეობის დამკვიდრების საფუძველია. ქვეყანაში გატარებული მნიშვნელოვანი ღონისძიებების მიუხედავად საჭიროა დამატებითი აქტივობების განხორციელება, ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ქალთა ჩართულობის გააქტიურება ეკონომიკურ პროცესებში ადგილობრივ დონეზე და ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობები/გამოწვევები. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება:		

	ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა - ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა, მათი საქმიანობის წახალისება, ადგილზე დასაქმების შესაძლებლობა და მეწარმე ქალების რაოდენობის გაზრდა, რაც ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას შეუწყობს ხელს.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ქალთა გაძლიერებას, ძლიერი მხარეების წახალისებას, ადგილზე საკუთარი საქმის წამოწყების შესაძლებლობას, სუსტი მხარეები აღმოფხვრის ხელშეწყობას. შედეგი: ქალთა სოციალურ-ეკონომიკურად გაძლიერება და გააქტიურება, მათი დაინტერესების ამაღლება, მეწარმე ქალთა ხელშეწყობა.

პროგრამის დასახელება	კოდი	ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამა	დაფინანსება ლარში
	01 02 06		6 740
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური - ქალთა ოთახი		
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა შემუშავებულია ქედის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ქვეყანამ და მათ შორის ქედის მუნიციპალიტეტმა გარკვეული პროგრესი განიცადა გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით დღისწესრიგში მაინც რჩება პრობლემები, როგორიცაა, როგორიცაა ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა ოჯახის ეკონომიკურ საქმიანობებში, ოჯახში ძალადობა, გენდერული დისბალანსი, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობა და ა.შ. ხელისუფლების მიერ არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის და პრევენციის მიზნით, მათ შორის, დაიხვეწა კანონმდებლობა, შეიქმნა დამატებითი საკანმდებლო გარანტიები ძალადობის მსხვერპლთათვის და გაძლიერდა ინსტიტუციური მექანიზმები, ამის მიუხედავად პრობლემა კვლავ აქტუალურია, რასაც კიდევ უფრო ართულებს პანდემიის შედეგად გამოწვეული გარემოებები. ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევები მოწმობს, რომ ოჯახში ყოველი მე-11 ქალი ძალადობის მსხვერპლია და ქალთა 35% აცხადებს რომ განუცდია მეუღლის მხრიდან მაკონტროლებელი ქცევა. განსაკუთრებით პრობლემატურია, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ოჯახში ძალადობა ოჯახური საკითხია და ოჯახშივე უნდა მოგვარდეს, რასაც არც თუ ისე იშვიათად სავალალო შედეგებამდე მივყავართ. უნდა აღინიშნოს, რომ 1991 წლიდან დღემდე საქართველოს მიერ რატიფიცირებული იქნა ყველა ის ძირითადი საერთაშორისო დეკლარაცია, პაქტი, კონვენცია, ხელშეკრულება თუ შეთანხმება, რომლებიც ავალდებულებს ხელისმომწერ სახელმწიფოებს გენდერული თანასწორობის უზრინველყოფასა და დაცვას საქართველოს მიერ მიღებული იქნა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით სპეციალური კანონები და შესაბამისი ცვლილებები შევიდა საქართველოს საკანონმდებლო და		

კანონქვემდებარე აქტებში.

1. საქართველოს კონსტიტუცია;

2. გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ CEDAW (სიღო კონვენცია);

3. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება (2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას, რომლის ერთ-ერთი პუნქტით ხელისუფლებას, ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მმართველობით რგოლში ქალთა როლის გაზრდას ავალდებულებს);

4. ევროსაბჭოს კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ (იგივე სტამბულის კონვენცია), რომლის რატიფიცირება, საქართველომ 2017 წელს მოახდინა.

5. საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ;

ქედის პოლიციის რაინული სამმართველოდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, 2020-2021 წლებში ქალთა მიმართ ან/და ოჯახში მომხდარი ძალადობის ფაქტების შესახებ გამოცემული იქნა 43 შემაკავებელი ორდერი, მათ შორის 2020 წელში 19, ხოლო 2021 წელს 24 შემაკავებელი ორდერი.

ზემოხსენებული პრობლემებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად ჩაითვალა წინამდებარე ქვეპროგრამის მომზადება, აღნიშნულ პრობლემებზე მუშაობის გაგრძელება და საჭიროებებიდან გამომდინარე ახალი კომპონენტების დამატება.

1. შესაბამისად პროგრამის ფარგლებში **„ქალთა მიმართ ძალადობის“ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში** 2022 წელს დაფინანსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო და საინფორმაციო ღონისძიებები, რომლის მიზანია მოსახლეობის ინფორმირებულობა და ცნობიერების ამაღლება, რომ საზოგადოების თითოეულმა წევრმა გააცნობიეროს, რომ თვალის დახუჭვა, გულგრილობა, გვერდზე დგომა დაუშვებელია, და რომ თითოეული ადამიანის ერთი ზარი შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს სხვა ადამიანის სიცოცხლის ჯანმრთელობის დასაცვად.

2. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია, 2015 წლიდან დღემდე განხორციელდა არაერთი აქტივობა, რომელიც ძირითადად საინფორმაციო ხასიათის მატარებელი იყო, მიმდინარე წელს იგეგმება სიახლის დანერგვა, კერძოდ ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის (შემაკავებელი და დამცავი ორდერის მოქმედების პირობებში სასამართლოს ან/და ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი გადაწყვეტილებით) მქონე პირთა ფინანსურ დახმარებას (200-800) (ორასი-რვაასი) ლარის ოდენობით, სტატუსის მოქმედების ვადის შესაბამისად, ასევე საჭიროების შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დროებით (სტატუსის მოქმედების ვადის შესაბამისად) ალტერნატიული საცხოვრებელი ფართის

	დაქირავებას. საგანმანათლებლო და საინფორმაციო კამპანიის ქვე-აქტივობები: 1. არა ძალადობის კამპანია - ინფორმირებულობის გაზრდა ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის შესახებ სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისების შესახებ; 2. ქორწინება ადრეულ ასაკში და მისი შედეგები - საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება ნაადრევ ქორწინების შესაძლო რისკებზე და უარყოფით მხარეებზე. 3. „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე“- მიზანი: ხაზგასმა, რომ ადამიანები თანასწორი ვართ და ყველას გვაქვს თანასწორი უფლებები მიუხედავად იმისა, რომელ სტრუქტურას წარმოვადგენთ, რომელადმსარებლობას მივყევით, რა ენაზე ვმეტყველებთ, და ა. შ. ბალანსი ორ მნიშვნელოვან ამოცანას შორის: „ეს არის ადამიანის უფლებების დაცვა და ეს არის ადამიანის დაცვა“; 4. „ფორთოხლისფერი მსოფლიო - შეწყვიტე ძალადობა ქალებისა და გოგონების მიმართ!“ - მსოფლიო გენდერული უთანასწორობის წინააღმდეგ- ქალებისა და გოგონების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობებზე და მათი აღმოფხვრის გზებზე ინფორმაციის მიწოდება ტრენინგები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მასწავლებლებისთვის და უფროსკლასელი მოსწავლეებისთვის; ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საგანმანათლებლო-საინფორმაციო ტრენინგ/სემინარების ჩატარება ტრენინგები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე ქალებისა და გოგონებისთვის;
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალური მხარდაჭერა, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება. შედეგი: ინფორმირებულია საზოგადოება ძალადობის წინააღმდეგ; ბენეფიციართა გაუმჯობესებული სოციალურ-მორალური მდგომარეობა და გარემოსთან რეინტეგრაცია.

პრიორიტეტი:

2. ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

N	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	6 763 129
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1 892 420
02 01 01	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია	1 487 020
02 01 02	დაბა ქედაში სამრეწველო გზაზე ცემენტ-ბეტონის საფარის მოწყობა	368 900

02 01 03	მთებზე მოიალალეთა ტრანსპორტირება	5 000
02 01 04	ბურღვა აფეთქება	10 000
02 01 05	დაბა ქედის საზოგადოებრივი ტრანპორტით უზრუნველყოფა	21 500
02 02	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება	919 450
02 02 01	წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა	493 000
02 02 01 01	ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგანში სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა	194 500
02 02 01 02	დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ორცვაში არსებული სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	111 500
02 02 01 03	სარწყავი არხების, სასმელი წყლისა და წყალსადენებისათვის მილების შეძენა	50 000
02 02 01 04	სს „აჭარის წყლის ალიანსის“ საწესდებო კაპიტალის შენატანი	10 400
02 02 01 05	ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კვაშტაში წყლის სისტემის მოწყობა	54 800
02 02 01 06	სოფელ ქედაში ხაბაზების უბანში 8 ოჯახისათვის ახალი სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა	37 000
02 02 01 07	სოფელ კუჭულაში სასმელი წყლის გამანაწილებელი ავზის მოწყობა	6 800
02 02 01 08	სოფელ ახოში არსებული საპირეშოსათვის სეპტიკის მოწყობა	28 000
02 02 02	შპს ქედის წყალკანალი	426 450
02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	2 474 259
02 03 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	535 900
02 03 01 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	100 000

02 03 01 02	დაბა ქედაში მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა	300 000
02 03 01 05	26 მაისის ქ. N2-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია	6 800
02 03 01 06	სოფელ გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმის რეაბილიტაცია	79 100
02 03 01 07	სოფელ გარეტყეში სოფლის სახლის მშენებლობა	50 000
02 03 02	ნაპირსმაგრე ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	500 000
02 03 02 01	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება	500 000
02 03 03	პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა	1 438 359
02 03 03 01	დაბა ქედაში რუსთაველის ქ. № 13 და № 15-ს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა	999 000
02 03 03 02	მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და მასში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა	300 000
02 03 03 03	სოფელ წონიარისის კეთილმოწყობა (ბილიკის და კიბის მოწყობა)	7 000
02 03 03 07	ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულში შენობის მიმდებარედ პარკის მშენებლობა	58 359
02 03 03 04	დაბა ქედაში 9 აპრილის მემორიალის რემონტი	9 000

02 03 03 06	ცხმორისის სასაფლაოს შემოღობვა	65 000
02 04	მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	335 000
02 04 01	ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები	5 000
02 04 02	პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა	200 000
02 04 03	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა	130 000
02 05	სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა	42 000
02 05 01	აგრო-სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობა	4 000
02 05 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის პროგრამა	8 000
02 05 03	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ეფექტური დაცვა გარეული ცხოველებისგან „ელექტრო ღობე“	30 000
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	750 000
02 07	არასაცხოვრებელი შენობა ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა	15 000
02 08	შ.პ.ს. ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	335 000

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	დაფინანსება ლარში
-----------	------	------------------------------------	----------------------

დასახელება	02 01	1 892 420
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური	
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას და რეაბილიტაციას, საგზაო-საინჟინრო ნაგებობების მოწესრიგებას, ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებისთვის ტროტუარებისა და პანდუსების მოწყობას, საგზაო მოძრაობის ორგანიზების მიზნით ქუჩების ჰორიზონტალურ დახაზვას, საგზაო ნიშნების, ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებისა და სიჩქარის შემზღუდავი საშუალებების მოწყობას. ქვე პროგრამაში ხორციელდება: - შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია - დაბა ქედაში სამრეწველო გზაზე ცემენტ-ბეტონის საფარის მოწყობა - მთებზე მოიალაღეთა ტრანსპორტირება - ბურღვა აფეთქება - დაბა ქედის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში შექმნილია სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა, მათ შორის შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა უსაფრთხო გადაადგილება.	

პროგრამის დასახელება	კოდი	შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია	დაფინანსება ლარში
	02 01 01		1 487 020
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	უკანასკნელ წლებში დაწყებულია სოფლებში შიდა საუბნო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნული პროგრამით ბოლო სამ წელიწადში რეაბილიტაცია ჩატარდა 5 კმ-ზე მეტ საუბნო გზას, აიგო დამცავი კედლები, სანიაღვრე არხები და სოფლის მდინარეებზე გადასასვლელი ხიდები.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	შექმნილია ახალი საგზაო ინფრასტრუქტურა, ჩატარებულია შიდა სასოფლო-საუბნო გზების კაპიტალური სარეაბილიტაციო სამუშაოები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	დაბა ქედაში სამრეწველო გზაზე ცემენტ-ბეტონის საფარის მოწყობა	დაფინანსება ლარში
	02 01 02		368 900

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
პროგრამის აღწერა	ბოლო წლებში დაბა ქედაში სოფელ ძენწმანის მიმდებარედ შეიქმნა ორი ახალი საწარმო. თავისუფალ ტერიტორიაზე იგეგმება დამატებით საწარმოს შექმნა. საწარმოებთან მისასვლელი გზა გრუნტის საფარიანი და კეთილმოუწყობელია, რისთვისაც იგი საჭიროებს შესაბამისი სამუშაოების ჩატარებას
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დაბა ქედაში სოფელ ძენწმანის მიმართულებით არსებული საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (სანიაღვრეების და ბეტონის საფარის მოწყობა).

პროგრამის დასახელება	კოდი	მთებზე მოიაღვრეთა ტრანსპორტირება	დაფინანსება ლარში
	02 01 03		5000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში ფერმერული მეურნეობების (მეცხოველეობის) განვითარების ხელშეწყობა. რეგიონისათვის დამახასიათებელი მთის ტრადიციების შენარჩუნება. ალპური რესურსების გამოყენება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში. მთის ალპურ საძოვრებზე საზაფხულოდ დროებით მობინადრეთა ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფა. მგზავრთა უსაფრთხოდ და დანახარჯების გარეშე ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფა მთლიანად მთის სეზონის პერიოდში (სამი თვე) სატრანსპორტო მომსახურების გაწევა. საიჩარის და გომის მთის ტერიტორიაზე მობინადრე მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების ტრანსპორტით მომსახურების შესყიდვა. პროგრამა ითვალისწინებს შედგენილი გრაფიკის მიხედვით კვირაში თითო მარშრუტს. მოსახლეობის მოთხოვნით დაგეგმილ დღეებში მთებზე ტრანსპორტით გადაადგილებისათვის.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	კმაყოფილი მოსახლეობა, შენარჩუნებული მთის ტრადიციები და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების ადგილობრივი ტრადიციების შენარჩუნება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ბურღვა აფეთქება	დაფინანსება ლარში
	02 01 04		10 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		

პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში არსებული ქვის ლოდები საფრთხეს უქმნის ახლომდებარე საცხოვრებელ სახლებსა და მათში მცხოვრებ მოსახლეობას, რისთვისაც საჭიროა მათი გაუვნებელყოფა აფეთქების გზით
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის სოფლებში საცხოვრებელი სახლებისათვის საფრთხის შემცველი ქვის ლოდების გაუვნებელყოფა აფეთქების გზით. მუნიციპალიტეტის სოფლებში ზემოთ ჩამოთვლილი საცხოვრებელი სახლებისათვის და მათი მოზინადრეებისათვის დაზიანებისაგან რისკების აცილება.

პროგრამის დასახელება	კოდი	დაბა ქედის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	დაფინანსება ლარში
	02 01 05		21 500
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახური		
პროგრამის აღწერა	დაბის ტერიტორიაზე განთავსებულია მუნიციპალური საავადმყოფო, სკოლა, საბავშვო ბაღები, ასევე მუნიციპალური სერვისები. თუმცა მთიანი გეოგრაფიული არეალის გამო ქედაში მცხოვრებ მოქალაქეებს გადაადგილება. მუნიციპალიტეტის მერია ცდილობს მოაწესრიგოს ავტომანქანების გადაადგილება და ტერიტორიაზე, მაგრამ სავალი ნაწილის სივიწროვისა და ავტომანქანების რაოდენობის ზრდის გამო ფაქტობრივ ტრანსპორტის მოძრაობის რეგულირება, რაც დამატებით საფრთხეს უქმნის მოწყვლად ჯგუფებს ფეხით გადაადგილებით დაბალი მსყიდველობით უნარიანობის გამო არ მუშაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი. შესაბამისად, შექმნილი დაინტერესდეს აღნიშნული სერვისის შეთავაზებით. სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, პენსიონერები, ბავშვები და ჩვეულებრივი მოქალაქეები სიცოცხლის გადადგომის საფრთხის წინაშეა და სერვისის მიღებისთვის დაბის ტერიტორიაზე, რომელსაც ჭირდებათ მოწყვლადი და შშმ პირთათვის ადაპტირებული მუნიციპალური საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ქედის მუნიციპალიტეტის მერია, შესაბამისად, დღეის მდგომარეობით დაბის ტერიტორიაზე ფეხით გადაადგილება 300-მდე სკოლის მოსწავლე 100-მდე საბავშვო ბაღის აღსაზრდელი და მათი მშობლები. ასევე დაბის ტერიტორიაზე განთავსებული ყოველდღიურად დაახლოებით 20-დან 30-მდე პენსიონერი ღებულობს მომსახურებას, რასაც ემატება ტერიტორიაზე ყოველდღიურად ჩამოსული მოსახლეობის გადაადგილება სხვადასხვა მუნიციპალური სერვისების მიღებისთვის. ყოველივე ეს ქმნის გარემოს და აუცილებლობას საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების. ქვეპროგრამის ფარგლებში დაბა ქედის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტის განთავსება უზრუნველყოფს უსაფრთხო გადაადგილებას და სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობას. საქართველოში დაპირების შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში ახალად შეძენილი ელექტრო ავტობუსი მინიმალური დანახარჯების გათვალისწინებით, მგზავრთა უწყვეტ გადაადგილებას სრულიად უფასოდ. ელექტრო მიკროავტობუსი ერთიდან ნახევარი საათის ინტერვალით იმობილიზირებს დაბის ტერიტორიაზე მცხოვრებ აბუსერების, დავით აღმაშენებლის, შოთა რუსთაველისა და 9 აპრილის ქუჩებზე. საწყის ეტაპზე მარშრუტი ინტერვალი არის საპილოტე, შესაბამისად მიღებული მონაცემების შეფასების შემდეგ შესაძლებელია განხორციელება.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დაბა ქედაში მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა.		
	დაბა ქედის ტერიტორიაზე მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა		

პროგრამის დასახელება	კოდი	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება	დაფინანსება ლარში
	02 02		919 450
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერია		

პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სასმელი წყლის უწყვეტი მომარაგება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება წყლის სისტემების განვითარების პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც წყალმომარაგების არსებული ქსელის მოვლა-შენახვის ღონისძიებებს, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. ქვეპროგრამაში ხორციელდება: - წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა, - შპს ქედის წყალკანალ-ის სუბსიდირება. წყლის სისტემების მოწყობა და მოსახლეობის წყალმომარაგებით უზრუნველყოფა.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქედის მუნიციპალიტეტის საზღვრებში რეაბილიტირებულია და აშენებულია წყლის სისტემის ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია მოსახლეობის წყალმომარაგება.

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა	დაფინანსება ლარში
	02 02 01		493 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს არსებული წყლის სისტემაზე დაზიანებული ქსელის ამოცვლას, სარეზერვო გამანაწილებელი აუზების აშენებას, დამატებით მომხმარებლების მიერთებას და ოჯახებისათვის წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესებას, მილების შეძენას. აღნიშნული ქვეპროგრამისათვის ბიუჯეტიდან საჭიროა 493 000 ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგანში სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა, - დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ორცვაში არსებული სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, - სარწყავი არხების, სასმელი წყლისა და წყალსადენებისათვის მილების შეძენა, - სს „აჭარის წყლის ალიანსის“ საწესდებო კაპიტალის შენატანი. - ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კვამტაში წყლის სისტემის მოწყობა. - სოფელ ქედაში ხაზაზების უბანში 8 ოჯახისათვის ახალი სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა. - სოფელ კუჭულაში სასმელი წყლის გამანაწილებელი ავზის მოწყობა, - სოფელ ახოში არსებული საპირემოსათვის სეპტიკის მოწყობა.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება. წყლის სიტემების ფუნქციონერება და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგანში სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა	დაფინანსება ლარში
	02 02 01 01		194 500
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		

პროგრამის აღწერა	სოფელ დოლოგანში საფარიძეების უბნის მოსახლეობა განიცდის სასმელი წყლის უკმარისობას ზაფხულის პერიოდში. ასევე, ტერიტორიაზე შენდება ორი ახალი საწარმო, რომელთათვისაც საჭიროა უწყვეტი სასმელი წყლით მომარაგება
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: სოფელ დოლოგანის მოსახლეობის (44 ოჯახი) სასმელი წყლით უზრუნველყოფა შედეგი: 2022 წელში აშენდება ახალი სასმელი წყლის სისტემა და გაშვებული იქნება ექსპლოატაციაში

პროგრამის დასახელება	კოდი	დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ორცვაში არსებული სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	დაფინანსება ლარში
	02 02 01 02		111 500
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	სოფელ ორცვაში არსებული სასმელი წყლის სისტემა მოითხოვს გადაუდებელ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: სოფელ ორცვაში არსებული სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია შედეგი: 2022 წლისათვის რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფელ ორცვის ამორტიზებულ წყლის სისტემას		

პროგრამის დასახელება	კოდი	სარწყავი არხების, სასმელი წყლისა და წყალსადენებისათვის მიწების შეძენა	დაფინანსება ლარში
	02 02 01 03		50 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა საჭიროებს სარწყავი და სასმელი წყლის მიწების შეძენას რისთვისაც პროექტით საჭიროა 50 000 ლ.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა საჭიროებს სარწყავი და სასმელი წყლის მიწების შეძენას რისთვისაც პროექტით საჭიროა 50 000 ლ. შედეგი: გამართული სასმელი და სარწყავი წყლის სისტემა		

პროგრამის	კოდი	სს „ჭარის წყლის ალიანსის“ საწესდებო კაპიტალის	დაფინანსება ლარში
-----------	------	---	-------------------

დასახელება	02 02 01 04	შენატანი.	10 400
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	„აჭარის წყლის ალიანსი“ 2017 წლის აპრილში შექმნილი სააქციო საზოგადოებაა. ამ კომპანიის წილებს ფლობენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა [26%], ბათუმის მუნიციპალიტეტი [34%], ქობულეთი [17%], ხელვაჩაური [11%], ხულო [5%], ქედა [4%] და შუახევის მუნიციპალიტეტი [3%]. ალიანსი აჭარის სოფლებში წყლისა და კანალიზაციის სისტემების მოსაწყობად არსებული პროექტის განხორციელებისთვის შექმნეს. სს „აჭარის წყლის ალიანსის“ საწესდებო კაპიტალის შენატანს ახორციელებს ყოველწლიურად ქედის მუნიციპალიტეტის მერია.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება წყლის სიტემების ფუნქციონერება და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. შედეგი: განხორციელებულია წყლის სიტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია და უზრუნველყოფილია სს "აჭარის წყლის ალიანსის" შეუფერხებელი ფუნქციონირება		

პროგრამის დასახელება	კოდი	ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულის სოფელ კვაშტაში წყლის სისტემის მოწყობა	დაფინანსება ლარში
	02 02 01 05		54 800
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	ქედის მუნიციპალიტეტის, სოფელ კვაშტაში არსებული წყლის სისტემა გამოსულია მწყობრიდან, რომლითაც სარგებლობს მოსახლეობა. საჭიროებს აუცილებელ რეაბილიტაციას რისთვისაც პროექტით საჭიროა 54 800 ლ.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: სოფელ კვაშტაში არსებული წყლის სისტემის მოწესრიგება. შედეგი: გამართული წყლის სისტემა		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფელ ქედაში ხაბაზების უბანში 8 ოჯახისათვის ახალი სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა	დაფინანსება ლარში
	02 02 01 06		37 000
პროგრამის განმახორციელებელი	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		

სამსახური	
პროგრამის აღწერა	სოფელ ქედაში ხაბაზების უბანში მცხოვრები 8 ოჯახი განიცდის სასმელი წყლის უკმარისობას, მათი მომარაგებისათვის შედგენილია პროექტი ახალი წყლის სისტემის მშენებლობისათვის. მიმდინარე წელში შესრულდება პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები. 2022 წლისათვის ობიექტი შევა ექსპლუატაციაში. სოფელ ქედაში ხაბაზების უბანში საჭიროა ახალი სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა 8 ოჯახისათვის, მათი სასმელი წყლის უწყვეტად უზრუნველყოფისათვის. რაზედაც ბიუჯეტიდან გამოსაყოფია 37000 ლარი.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: სოფელ ქედაში არსებული წყლის სისტემის მოწესრიგება. შედეგი: გამართული წყლის სისტემა

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფელ კუჭულაში სასმელი წყლის გამანაწილებელი ავზის მოწყობა	დაფინანსება ლარში
	02 02 01 07		6 800
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	სოფელ კუჭულაში, სადაც 60 ოჯახი ცხოვრობს სარგებლობენ საერთო სარგებლობის წყლის სისტემით, რომელიც ყველა მომხმარებელს წყალს ვერ აწვდის თანაბრად და უწყვეტად. აუზის მშენებლობით შესაძლებელია პრობლემის მოგვარება		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: სოფელ კუჭულაში არსებული წყლის სისტემისათვის მოსახლეობაზე უწყვეტ რეჟიმში წყლის მიწოდება. შედეგი: სოფლის მოსახლეობის წყალმომარაგების მდგომარეობის გაუმჯობესება		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფელ ახოში არსებული საპირეზოსათვის სეპტიკის მოწყობა	დაფინანსება ლარში
	02 02 01 08		28 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		

პროგრამის აღწერა	სოფელ ახოში სოფლის ცენტრში არსებულ საერთო სარგებლობის საპირფარეშოს შენობას არ აქვს მოხმარებული წყლების გამწმენდი ნაგებობა, რისთვისაც საჭიროა სექტიკის მშენებლობა
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: სოფელ ახოს საერთო სარგებლობის საპირფარეშოსათვის გამწმენდი ნაგებობის-სექტიკის აშენება. შედეგი: 2022 წლის ბოლომდე დასრულდება სექტიკის მშენებლობა და არსებული საპირფარეშოსათვის შეიქმნება ტექნიკური პირობებით გათვალისწინებული გარემო.

პროგრამის დასახელება	კოდი	შპს ქედის წყალკანალი	დაფინანსება ლარში
	02 02 02		426 450
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	მუნიციპალური მომსახურების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდირება გაეწევა შპს ქედის წყალკანალს, რომელიც უზრუნველყოფს დაბისა და სოფლების წყალსადენების სათავე-ნაგებობების და მაგისტრალური ქსელის მოვლა-შენახვას, ქლორირებასა და ფილტრაციას.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია წყალმომარაგების მომსახურება, უზრუნველყოფილია წყლის სისტემების გამართული ფუნქციონირება		

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონიძიებები	დაფინანსება ლარში
	02 03		2 474 259
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი; - ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; - პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა;		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება შედეგი: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შექმნილი და მოწყობილი ახალი ტერიტორიები		

პროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	დაფინანსება ლარში
	02 03 01		535 900
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: - ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. - დაბა ქედაში მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა - 26 მაისის ქ. N2-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია - სოფელ გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმის რეაბილიტაცია - სოფელ გარეტყეში სოფლის სახლის მშენებლობა.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: საბინაო ფონდის ინფრასტრუქტურის განვითარება, ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია. შედეგი: მუნიციპალური საბინაო ფონდის შექმნა, რეაბილიტირებული ადმინისტრაციული შენობები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.	დაფინანსება ლარში
	02 03 01 01		100 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის საქმიანობის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრების არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება; მუნიციპალური საბინაო ფონდის შექმნა; მოზინადრეთათვის უსაფრთხო, გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი პირობების შექმნა.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: საბინაო ფონდის ინფრასტრუქტურის შედეგი; მუნიციპალური საბინაო ფონდის შექმნა		

პროგრამის დასახელება	კოდი	დაბა ქედაში მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა	დაფინანსება ლარში
	02 03 01 02		300 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: დაბა ქედაში თანამედროვე ტიპის ახალი შენობის აშენება შედეგი: 2022 წლის ბოლოსათვის დაბა ქედაში აშენებული იქნება ახალი სტანდარტული შენობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	26 მაისის ქ. N2-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია	დაფინანსება ლარში
	02 03 01 05		6 800
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური, აგრეთვე დაბა ქედის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლობა განთავსებული არიან შეუფერებელ კეთილმოუწყობელ ფართებში, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი ფართების მოწყობა მუნიციპალიტეტის კუთვნილ ადმინისტრაციულ შენობაში		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: შენობის შიდა ფართის რემონტი და რეაბილიტაცია მასში მუნიციპალიტეტის სამსახურების განთავსებისათვის. შენობის განახლების და მისი მდგრადობის შენარჩუნება. შედეგი: შენობის ინტერიერის მოწესრიგება შიდა ფართში, მათი სამსახურეობრივი გამოყენების მიზნით წესრიგში მოყვანა		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფელ გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია	დაფინანსება ლარში
	02 03 01 06		79 100
	მატარებელი მაღალმთიანი მუნიციპალიტეტის, გაცნობა ქვეყნის გარეთ და რეგიონში. ამ მიზნით მუნიციპალური ანსამბლებისათვის გასტროლების დაგეგმვა ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ., საბიბლიოთეკო განყოფილებისათვის ფონდების შეგროვება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა; მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კართოთეკებით, საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების, საკლუბო შეხვედრების და სხვადასხვა თემატური გამოფენების მოწყობა.; ქედის კულტურის ცენტრთან არსებული მოსწავლე ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილება უზრუნველყოფს მივიწყებული ხალხური რეწვის ტრადიციების შენარჩუნებას მოსწავლე ახალგაზრდობაში და მისი პოპულარიზაციის მიზნით მონაწილეობას მიიღებს სახალხო დღესასწაულებსა და ადგილობრივ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ტურიზმის ხელშეწყობ საერთაშორისო ღონისძიებებში. საახალწლო-საშობაო ღონისძიებები - საახალწლო-საშობაო აქტივობები, შეხვედრები, კონცერტები, ფასიანი საჩუქრების გადაცემა და სხვა ღონისძიების თანმდევი აქტივობების განხორციელება, მოსახლეობაში საზეიმო განწყობის შექმნა ასევე: ს.ცხმორისის კლუბის 5 წლის იუბილე, ს.კოკოტაურის კლუბის 50 წლის იუბილე, დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, 9 აპრილის მოგონების დღე, წიგნის დღისადმი კვირეულის აღნიშვნა ბიბლიოთეკაში.ახალი წიგნის პრეზენტაცია, დედაენის დრისადმი მიძღვნილი კონკურსი კითხვაში, მონაწილეობის მიღება აწარამიტურისტულ სეზონის გახსნასთან, დამოუკიდებლობის დრისადმი მიძღვნილი კონცერტი, ფესტივალი "არტ-გენი", მონაწილეობის მიღება ხალხური შემოქმედების განვითარებაში, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებები, ტურისტული სეზონის გახსნა ქედში, მერიის კულტურის სახლის 30 წლის იუბილე, გადაღება - დამონტაჟება, საახალწლო ნაძვის ხე, დავით ბორის ღორბერიძის იუბილე, ფოლკპენდ ელესას სიმღერის ჩაწერა სტუდიაში, ანსამბ ელესას დისკის პრეზენტაცია, ანსამბ ელესას კლიპის გადაღება, საბავშვო საახალწლო კარნავალი.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების, სტრუქტურული ერთეულების - სასოფლო კლუბებისა და კულტურის ცენტრების განვითარების ხელშეწყობა, ბიბლიოთეკის შეუფერხებელი ფუნქციონირება, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები და მოსწავლე ახალგაზრდობის სასწავლო შემოქმედებითი პროცესის ორგანიზება, მონაწილეობა მუნიციპალურ, რეგიონულ და ტურისტულ ღონისძიებებში შედეგი: უზრუნველყოფილია - კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების განვითარება, ბიბლიოთეკის შეუფერხებელი ფუნქციონირება, კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებები და მოსწავლე ახალგაზრდობის სასწავლო შემოქმედებითი პროცესის ორგანიზება

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - ქედის ხელოვნების სკოლა	დაფინანსება ლარში
	05 02 02		147 800
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ქედის ხელოვნების სკოლა		
პროგრამის აღწერა	ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლაში საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სწავლის უფლებით სარგებლობენ ბავშვები 6 წლის ასაკიდან. სკოლაში არის სამი განყოფილება კერძოდ: საფორტეპიანო, საორგესტრო და ხალხური განყოფილება. ხალხურ განყოფილებაში ისწავლება ქართული ცეკვა, რომელშიც ორი ჯგუფია გოგონებისა და ვაჟების. ამ ჯგუფის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ინდივიდუალურად შეისწავლონ შერჩევითი საგანი, კერძოდ: სალამური, დოლი, ფანდური, ბასფანდური, ჭიბონი, გიტარა და კლასიკური ფანდური. სწავლება 6 წლიანია. სკოლას ჰყავს ქორეოგრაფიული და ფოკლორული ანსამბლები: „ჩანგი“, „საუნჯე“, „იასამანი“. ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლასთან არსებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მეშვეობით ხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობა. ადგილობრივი მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის (კლასიკური მუსიკა, ფოლკლორი) შეთავაზება. მნიშვნელოვანია ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლაში საშემსრულებლო კოლექტივების ხელშეწყობა-წახალისება		

	(კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, გასტროლი და სხვა მოტივაცია).
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი:მისცეს მოსწავლეებს სახელოვნებო განათლება, მოამზადოს მოსწავლეები წსავლის გასაგრძელებლად შემდგომ საფეხურზე სახელოვნებო განათლების მიღების მიზნით, ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან ზიარების თანაბარი პირობების შექმნით ხელი შეუწოს პიროვნების ინდივიდუალურ-შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებას, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას და ამ გზით მის შენარჩუნებას, გარე სამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების წარმოჩენა/გამოვლენა. შედეგი: შექმნილია პირობები სახელოვნებო განათლების თანაბრი ხელმისაწვდომობისთვის გოგონებისა და ბიჭებისთვის; ხელშეწყობილია მოსწავლეთა და პედაგოგთა კულტურულ-საგანმანათლებლო კვალიფიკაციის ამაღლება და კონკურსებში, ფესტივალებსა და სხვა ფორუმებში წარმატებები.

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ - ქედის ისტორიული მუზეუმი	დაფინანსება ლარში
	05 02 03		94 400
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ქედის ისტორიული მუზეუმი		
პროგრამის აღწერა	მუზეუმი დაარსდა 1999 წელს, სადაც თავმოყრილი და გამოფენილია 5 000 ათასამდე ქედის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ექსპონატი. საგამოფენო დარბაზში გამოფენილია არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული, ისტორიული, ხეზე კვეთილობის ნიმუშები და ფერწერული ტილოები. მუზეუმის არქეოლოგიურ მასალებში ინახება ათი ათასი წლის წინანდელი ქვის თოხი, ქვის ჩაქუჩები და შურდულის ქვები, ასევე მუზეუმში დაცულია იშვიათი ექსპონატები. საგამოფენო დარბაზი სრული დატვირთვით 2004 წლიდან მოქმედებს და წელიწადში 2000-დან 3000-მდე მნახველს მასპინძლობს. მნახველებს შორის მრავლადაა უცხოელი დამთვალიერებელი. ყოველივე აქედან გამომდინარე მუნიციპალიტეტი აფინანსებს მუზეუმის მიმდინარე ხარჯებს, ექსპონატების შესყიდვისა და ექსპედიციის ხარჯებს. დამფუძნებელია ქედის მუნიციპალიტეტი.		

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: მოპოვებული მასალის დაცვა-შენახვა მისი მეცნიერული შესწავლა, ექსპონირება, პუბლიკაცია, პოპულარიზაცია, სამეცნიერო საგანმანათლებლო მუშაობა და სხვა შედეგი: ისტორიულ არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული და კულტურის ძეგლების სავსე კვლევა ძიების შედეგად მოპოვებული მასალის, ხელოვნების ნიმუშებისა და სხვა მატერიალური და სულიერი ფასეულობების აღრიცხვა, შეკრება, მოვლა, დაცვა-შენახვა, სისტემატიზაცია, ექსპონირება, შესწავლა და პოპულარიზაცია.
--	--

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა;	დაფინანსება ლარში
	05 02 04		81 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	ღონისძიების ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ანსამბლების, გუნდებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მონაწილეობა ადგილობრივ, საერთაშორისო და სხვადასხვა ღონისძიებებში, ჩატარდება ტრენინგები, მოწყობა გამოფენები ადგილობრივ, საერთაშორისო ფესტივალებსა და სხვადასხვა ღონისძიებებში, კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერა; მოეწყობა ღონისძიებები საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით, ასევე სხვადასხვა ღონისძიების ფარგლებში მოწვეული იქნებიან ბენეფიციარები, რომლებიც დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით. უზრუნველყოფილი იქნება ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეთა კვება, სატრანსპორტო და სხვა თანმდევი მომსახურებები. იმ ხელოვანთა ხელშეწყობა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა თუ გამოფენებში, ეროვნული ღონისძიებების პოპულარიზაციის მიზნით მოსახლეობაში შესაბამისი გარემოს შექმნა. ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლების მიზნით მოეწყობა კულტურულ-გასართობი ლაშქრობები, ექსკურსიები, ტრენინგები და სხვა აქტივობები. დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - ჩატარდება კონცერტები მუნიციპალიტეტში არსებული ანსამბლების მონაწილეობით, ფესტივალის ფარგლებში მოწვეული იქნება 75 ქალბატონი, რომლებსაც გადაეცემათ ფასიანი საჩუქრები. 8 აგვისტოს დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - რუსეთ საქართველოს ომის დროს დაღუპული გმირის საფლავის მონახულება სოფელ მერისში, გმირის საფლავის გვირგვინითა და ყვავილებით შემკობა. სახალხო ზეიმი შემოდგომა ქედაში - ღონისძიების ფარგლებში მოეწყობა აჭარული კერძების მომზადების იმიტაცია, ღვინის დაწურვისა და ჭაჭის გამოხდის იმიტაციები, აჭარული კერძების გამოფენა, ქედის ისტორია - ფოტოებისა და პუბლიკაციების გამოფენა, ეთნოგრაფიული და სამუზეუმო ექსპონანტების გამოფენა, ჭიბონის, ხეზე კვეთის, თამბაქოს ჭრის, გიდელის, გოდრისა და ბადის ქსოვის იმიტაციები, მოეწყობა სპორტული ღონისძიებები, საბავშვო კუთხის მოწყობა, ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლების კონცერტი, ღონისძიების ფარგლებში მოეწყობა საპატიო ქედელებისათვის ფასიანი საჩუქრების შესყიდვა და დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრების გადაცემა, რთველის მოწყობა და სხვა თანმდევი აქტივობების ორგანიზება. ადგილობრივი და საერთაშორისო დღეების აღნიშვნა - ღონისძიებები განხორციელდება მთელი წლის განმავლობაში, ჩატარდება საერთაშორისო დღეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები: დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე, აუტიზმის საერთაშორისო დღე, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, შშმ პირთა უფლებების დაცვის დღე, ბაირამი, ოჯახის სიწმინდის დღე, 9 მაისი- ფაშიზმზე გამარჯვების დღე,		

	ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე და სხვა ღონისძიებები. მოეწეობა ცნობიერების ამაღლების მიზნით ტერინინგები, მხატვრული, დოკუმენტური, კულტურული, შემეცნებითი, გასართობი და სხვა აქტივობები. პროგრამის ფარგლებში მოეწეობა სხვადასხვა გამოფენები. სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდება ბენეფიციარების შერჩევა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვება. სხვა თანმდევი აქტივობების განხორციელება. ტურიზმის და კულტურული ძეგლების დაცვის ხელშეწყობი ღონისძიებები - მოეწეობა კულტურულ ძეგლებისა და მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავება, ექსკურსიები, ლაშქრობები, კულტურულ-საგანმანათლებლო ტრეინინგები და სხვა აქტივობები. ქედის ხანდაზმულთა კლუბი „ღირსეული სიბერე“ ხელშეწყობი ღონისძიებები - სხვადასხვა აქტივობების, ექსკურსიების ჩატარება, ღონისძიებების ფარგლებში სატრანსპორტო და კვებითი მომსახურების უზრუნველყოფა, ღამისთევის უზრუნველყოფა, საინფორმაციო შეხვედრები, ფასიანი საჩუქრების გადაცემა და სხვადასხვა ღონისძიებების თანმდევი აქტივობების განხორციელება. კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები - კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარება, ღონისძიების ორგანიზებასთან დაკავშირებული აქტივობების განხორციელება, ღონისძიებაში ქედის მუნიციპალიტეტის ბენეფიციართა მონაწილეობა, გამარჯვებული ბენეფიციართა დაჯილდოვება ფულადი საჩუქრით, წიგნის დაბეჭდვა. ასევე ღონისძიებების ორგანიზება ონლაინ (დისტანციურ) რეჟიმში, სხვა ღონისძიებების თანმდევი აქტივობების განხორციელება. ინტერმუნიციპალური ღონისძიებები- სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლეებისა და ახალგაზრდების ჩართვა ღონისძიებებში, ღონისძიებებთან დაკავშირებული თანმდევი აქტივობების განხორციელება, ტრანსპორტირება, კვებით უზრუნველყოფა, ფასიანი საჩუქრების და ინვერტარის შეძენა.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: გაზრდილი კულტურული ცხოვრების აქტივობა, კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული აქტივობების განვითარების ხელშეწყობა შედეგი: უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებების თანაბარი ხელმისაწვდომობა, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების განვითარება, ბიბლიოთეკის შეუფერხებელი ფუნქციონირება, კულტურულ საგანმანათლებლო ღონისძიებები და მოსწავლე ახალგაზრდობის სასწავლო შემოქმედებითი პროცესის ორგანიზება

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ლარში
	05 03		35 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის აღწერა: პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება: - ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა;		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ახალგაზრდების ინტელექტუალურ-შემეცნებით პროექტებში ჩართვა და მხარდაჭერა, მუნიციპალურ დონეზე მეტი ჩართულობისა და გააქტიურებისათვის ზრუნვა, მოსახლეობის შესაძლებლობებისა და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.		

	შედეგი: შექმნილია ახალგაზრდების განვითარებაზე ორიენტირებული გარემო, უზრუნველყოფილია ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა და ხელშეწყობილია მათი სამოქალაქო ინიციატივები.
--	---

პროგრამის დასახელება	კოდი	ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა	დაფინანსება ლარში
	05 03 01		35 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საკითხთა და ძეგლთა დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის პირველობა იუმორისტულ და საზრიან საჯარო სკოლის გუნდებს შორის ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ხუთი საჯარო სკოლის გუნდებს შორის შეჯიბრი, რომელიც ითვალისწინებს საჯარო სკოლის გუნდების მომზადებას, სარეჟისორო ხარჯების ანაზღაურებას, დასკვნით ფინალურ თამაშზე მონაწილე გუნდების ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფას, გამოვლინდება სამი გამარჯვებული გუნდი, რომლებიც დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით და გარდამავალი თასით. ლაშქრობების და ბანაკის მოწყობა (სამ ეტაპად 25 ახალგაზრდაზე) ღირშესანიშნავ ადგილებში ღონისძიების მიზანია ახალგაზრდებში სწავლისადმი მოტივაციის ამაღლება და საქართველოს კუთხეებში არსებული ისტორიული ძეგლების და ღირშესანიშნავი გაცნობა. აჭარის ჩემპიონატი ინტელექტუალურ თამაშში რა? სად? როდის?" ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია: მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გუნდებს შორის შეჯიბრი, გამოვლინდება სამი გამარჯვებული გუნდი და მეორე ეტაპზე გადასული გუნდები მონაწილეობას მიიღებენ ქ. ბათუმში დასკვნით ფინალურ თამაშში მონაწილეობას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კვების და სატრანსპორტო მომსახურე გავლამაზოთ ერთი დღე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებისათვის ფასიანი საჩუქრების გადაცემა გაიცანი საქართველო ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია საქართველოში ტერიტორიაზე ისტორიული და ღირშესანიშნავი ადგილების მონახულება, ღონისძიების მონაწილეობას მიიღებენ 14-28 წლამდე ახალგაზრდები. „ინტელექტის დღე-2022“ ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილია- მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების გუნდებს შორის შეჯიბრი, გამოვლინდება ერთი გამარჯვებული გუნდი რომელიც მონაწილეობას მიიღებს ქ. თბილისში დასკვნით ფინალურ თამაშში, ფინალურ თამაშზე მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან გამარჯვებული გუნდები. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გამარჯვებული გუნდის კვების და სატრანსპორტო მომსახურე. თავისუფალი პროექტების დაფინანსება ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ ახალგაზრდების მიერ ინიცირებული პროექტები. პროექტის დაფინანსება ხელს შეუწყობს ახალგაზრდების სწავლისადმი სიყვარულის გაზრდას, ახალგაზრდების გაერთიანებას ინტერესების მიხედვით, მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას. ტრეინინგ-სემინარი ახალგაზრდებისათვის, (არაფორმალური განათლება)" ქვეპროგრამის მიზანია ტრეინინგ-სემინარის ჩატარება აქტუალურ თემებზე და მიზნად ისახავს ახალგაზრდებში უნარ-ჩვევების, კომპეტენციების, ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებას არაფორმალურ, ბუნებრივ გარემოში, სადაც ახალგაზრდას უქმნის მოტივაციას, იმოქმედონ და ისწავლონ საკუთარი ინტერესების მიხედვით. კითხვის კონკურსი ინგლისურ ენაში ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები დაახლოებით 200 მოსწავლე, ღონისძიების მიზანია ახალგაზრდებში წიგნისადმი სიყვარულის გაზრდა და ინგლისური ენის პოპულარიზაცია. პაემანი პოეზიასთან პროგრამის მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდების დაინტერესება პროზით და ახალგაზრდა დამწეები პოეტების შემოქმედების გაცნობა საზოგადოებისათვის ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა ახალგაზრდების წახალისება საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები. დაგეგმილია სხვადასხვა		

	აქტივობები, გასართობი და შემეცნებით პროგრამები მუნიციპალური კონკურსი თემაზე „მე მიყვარს ქედა“ საჯარო სკოლების მოსწავლეთა შორის (3-6 გვერდიანი ნაშრომი, გამოვლინდება სამი საუკეთესო ნაშრომი, 3 საპრიზო ადგილის მქონე ნაშრომები დაჯილდოვდება ფასიანი საჩუქრებით.) მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდებისა და სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებები სხვადასხვა სახის ახალგაზრდული აქტივობების, კონფერენციებში, გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებები და სხვა.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ახალგაზრდების ინტელექტუალურ-შემეცნებით პროექტებში ჩართვა და მხარდაჭრა შედეგი: შექმნილია ახალგაზრდების განვითარებაზე ორიენტირებული გარემო, უზრუნველყოფილია ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა და ხელშეწყობილია მათი სამოქალაქო ინიციატივები, ხელშეწყობილია გენდერული თანასწორობის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებულობა

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სახლებისა, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მშენებლობა- რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა	დაფინანსება ლარში
	05 04		802 400
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს კულტურის სახლის შენობაში მშენებლობა-რეაბილიტაცია სარემონტო სამუშაოების ჩატარებას. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია: - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოში არსებული კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის რემონტი, - სოფელ გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმისათვის ინვენტარის შეძენა. - სოფელ მერისის კულტურის სახლის რემონტი.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ქვეპროგრამის მიზანია არსებული კულტურის სახლის შენობის რეაბილიტაცია. შედეგი: გარემონტებული და კეთილმოწყობილი კულტურის სახლი.		

პროგრამის დასახელება	კოდი	- ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოში არსებული კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის რემონტი	დაფინანსება ლარში
	05 04 01		710 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	- შენობა აშენებულია გასული საუკუნის 70 -იან წლებში, დაზიანებულია შიდა ფართის კედლები, იატაკი და კარ-ფანჯრები, რასაც ესაჭიროება კაპიტალური რემონტი		

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: დანდალოს კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის შიდა ფართის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. შედეგი: 2022 წლისათვის დასრულდება შენობის კაპიტალური რემონტი.
--	---

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფელ გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმისათვის ინვენტარის შეძენა	დაფინანსება ლარში
	05 04 02		85 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა	- 2021 წელს მიმდინარეობდა აღნიშნული მუზეუმის შეკეთება და საჭიორებს ინვენტარით აღჭურვას		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: სოფელ გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმისათვის ინვენტარის შეძენა შედეგი: 2022 წლისათვის დასრულდება ინვენტარის შეძენა.		

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1 863 160 ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

(ლარებში)

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 883 160
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	974 960
06 01 01	ამბულატორიული მომსახურების პროგრამა	173 260
06 01 02	სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება	178 000

06 01 03	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის	90 000
06 01 04	სამკურნალო/გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარების ხელშეწყობა	6 000
06 01 05	ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება	55 000
06 01 06	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	330 000
06 01 07	ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა	12 400
06 01 08	თემების სამედიცინო ცენტრებისა და ამბულატორიების კეთილმოწყობა და ინვენტარის შეძენა	130 300
06 01 08 01	პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია	58 000
06 01 08 02	ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია	55 000
06 01 08 03	სოფელ დოლოგანში ადმინისტრაციული შენობისა და ამბულატორიის რეაბილიტაცია	17 300
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	908 200
06 02 01	სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა	32 000
06 02 02	ვეტერანთა უკვდავყოფის სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო ღირებულების ორგანიზება და დახმარება	78 900
06 02 03	ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის	14 000
06 02 04	ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი ფინანსური დახმარება	105 000
06 02 05	გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება	50 000
06 02 06	ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა	20 000
06 02 07	სამედიცინო და სოციალური რებილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რებილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა	35 000
06 02 08	საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა	100 000
06 02 09	ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლის პროგრამა	257 700
06 02 10	0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის ფინანსური დახმარების უზრუნველყოფა	84 000

06 02 11	0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება	3 600
06 02 12	საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის	20 000
06 02 13	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება	108 000

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის დაცვა	დაფინანსება ლარში
	06 01		974 960
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	- ამბულატორიული მომსახურეობა		
	- სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობა		
	- თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის პირებისათვის		
	- სამკურნალო/გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარების ხელშეწყობა		
	- ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება		
	- მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა - ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა - თემების სამედიცინო ცენტრებისა და ამბულატორიების კეთილმოწყობა და ინვენტარის შეძენა		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. შედეგი: გაზრდილია ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა		

პროგრამის დასახელება	კოდი	ამბულატორიული მომსახურეობა	დაფინანსება ლარში
	06 01 01		173 260
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტის სოფლები დიდი მანძილითაა დაშორებული საექიმო ამბულატორიასთან და ჭირს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, რისთვისაც აუცილებელი გახდა საექიმო ამბულატორიის ტრანსპორტითა და სხვა მომსახურეობით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მერისის, დანდალოს, ცხმორისის		

	წონიარისის, ზვარის, დაბა ქედის, მახუნცეთის, დოლოგნის, ოქტომბრის და პირველი მაისის ამბულატორიების მომსახურება.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ამბულატორიული მომსახურების გაუმჯობესება შედეგი: გაუმჯობესებული ამბულატორიული მომსახურება

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება	დაფინანსება ლარში
	06 01 02		178 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის დასახლებულ ადგილებში, გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატური პირობების გამო მოსახლეობისთვის დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდება გართულებულია, რამაც გამოიწვია მათთვის ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ორგანიზების აუცილებლობა. დაფინანსება განხორციელდება ქედის მუნიციპალიტეტის მერიასა და მომსახურების მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მედიკამენტების მიწოდება და ანაზღაურება მოხდება ყოველკვარტალურად. პროგრამის მოსარგებლეები არიან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა. თემის სამედიცინო პუნქტების (შემდეგ-თსპ) მედდებთან ხელშეკრულების გაფორმებას, თსპ-სათვის მედიკამენტებისა და სადიაგნოსტიკო საშუალებების შეძენას ანხორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის მერია. მედდების შერჩევა განხორციელდება მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული განცხადებების საფუძველზე გასაუბრების წესით, თანდართული დოკუმენტებით (შესაბამისი განათლების დოკუმენტი, პირადობის მოწმობა, საბანკო რეკვიზიტები)		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა ექიმამდელი სამედიცინო დახმარებით, პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებითა და სადიაგნოსტიკო საშუალებებით. შედეგი: ქედის მუნიციპალიტეტის სოფლის მოსახლეობა უზრუნველყოფილია ექიმამდელი სამედიცინო დახმარებით, პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებითა და სადიაგნოსტიკო საშუალებებით.		

პროგრამის დასახელება	კოდი	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის	დაფინანსება ლარში
	06 01 03		90 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	აჭარის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ამბულატორიულ აღრიცხვაზე ქედის მუნიციპალიტეტიდან აღრიცხვაზე არის 585-მდე პაციენტი, აქედან წლის განმავლობაში აქტიურად და რეგულარულად ამბულატორიას მიმართავს თვის განმავლობაში 50-60 პაციენტი, რაც ძალიან მცირეა და ამის ძირითადი მიზეზი არასათანადოდ განვითარებული ფსიქიკური ჯანდაცვის სიტემაა, რომელშიც არ არის გათვალისწინებული მომსახურების უწყვეტობისა და საფეხურებრივი ზრუნვის პრინციპები. საფეხურებრივი და უწყვეტი მომსახურების განხორციელება სათემო სერვისების განვითარების გარეშე, შეუძლებელია, სწორედ, ამიტომაცაა საჭირო მობილური გუნდის მომსახურების დამატება ამბულატორიულ სერვისში. მობილური გუნდი ემსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს, რომლების ხშირად ან ხანგრძლივი დროით თავსდებიან სტაციონარში, სოლო სტაციონარიდან გაწერის შემდეგ		

	არ აკითხავენ ამბულატორიულ დაწესებულებას, წყვეტენ მკურნალობას, რაც ფსიქოპათოლოგიური სიმპტომატიკის გაუარესებას იწვევს, გარდა ამისა ამ მომსახურებით იზრდება ტერიტორიული ხელმისაწვდომობა და ამავე დროს ცალსახად შეუმსუბუქდებოდა ხარჯები ამბულატორიულ დისპანსერულ მეთვალყურეობას. 2013 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ ფსიქიკური ჯანდაცვის კონცეფციის დოკუმენტში, ფსიქიკური ჯანდაცვის სისტემის განვითარების ძირითადი პრინციპებია განსაზღვრული, რაც მოიცავს: დაბალანსებულ ზრუნვას, მომსახურების ინტეგრაციას, უწყვეტობასა და თანმიმდევრულობას. თანამედროვე ფსიქიატრიული მომსახურება ეს არის დაბალანსებული მომსახურება თემზე და ჰოსპიტალურ მომსახურებაზე დაფუძნებულ ზრუნვას შორის. გარდა ფსიქიკური ჯანმრთელობისა ეს პროექტი შეძლებს შეუმსუბუქოს პაციენტს და მათ ოჯახებს სოციალური მდგომარეობა, როგორც ფინანსური დანახარჯების ასევე დროის ეკონომიითაც, ფსიქიკური პრობლემის მქონე ადამიანი რაიონიდან ამბულატორიაში ვიზიტისთვის (განსაკუთრებით ის კატეგორია პაციენტების ვინც შეირჩევა მდგ-ს მიერ) საჭიროებს თანმხლებ პირს, რაც ოჯახისთვის ორმაგი დანახარჯია, გარდა ამისა ოჯახი, რომელიც უმეტესწილად სოფლად და რაიონში სოფლის მეურნეობით არის დაკავებული კარგავს დროს, რადგან ასეთი მარშრუტის გამო მთელი დღე და ხშირად ორიც ჭრდება თუ „დაგვიანდა“ სოფლის ტრანსპორტის გასვლის საათებში. სოფლად ასეთი „მოუცლელობის“ გამო ხშირად პაციენტი თვეების განმავლობაში ვერ აკითხავს ამბულატორიას, შედეგად კი ეს შემდგომში პაციენტის გაწვევებით და სტაციონარებით სრულდება, რაც სახელმწიფოს როგორც ავღნიშნეთ გაცილებით ძვირი უჯდება. ამიტომ მობილური გუნდის დერვისი არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ჯანმრთელობისთვის მომსახურების პროგრამა, პარალელურად მას სოციალური პროგრამის დატვირთვაც ეძლევა.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის საჭირო ღონისძიებების ჩატარება შედეგი: მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის ჩატარებული საჭირო ღონისძიებები.

პროგრამის დასახელება	კოდი	სამკურნალო/გამჯანსაღებელი პროცედურების ჩატარების ხელშეწყობა	დაფინანსება ლარში
	06 01 04		6 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს სამცხე-ჯავახეთში არსებულ კურორტზე, სარეაბილიტაციო კომპლექს „მესხური კოშკი“, რომელიც გამოირჩევა სამკურნალო თვისებების მქონე წყლებით, სადაც პროცედურები ჩაუტარდება მათ, ვისაც ოსტეოქონდროზი, გულსისხლძარღვთა, სასუნთქი, გინეკოლოგიური და სხვა დაავადებები აწუხებთ. აღნიშნული პროგრამით ისარგებლებს სოციალურად დაუცველები, შშმ პირები, მრავალშვილიანი და 200000 -მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახები.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად დაუცველი, შშმ და მრავალშვილიანი ოჯახის მქონე პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება შედეგი: შემცირებულია ბენეფიციარების ჯანმრთელობის ზიანის რისკი		

პროგრამის	კოდი	ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება	დაფინანსება ლარში
-----------	------	--	-------------------

დასახელება	06 01 05	55 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური	
პროგრამის აღწერა	საყოველთაო დაზღვევისა და აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამით მიერ დაფინანსებების მიუხედავად ბენეფიციარებს, ოპერაციული მკურნალობისთვის მაინც რჩებათ გარკვეული რაოდენობის თანხა გადასახადი, რაც მძიმე ტვირთად აწევს ოჯახებს. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს თანადაფინანსებას იმ ბენეფიციარებზე, რომელთაც სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 გაეწევთ დახმარება დარჩენილი თანხის 70%, ხოლო 200 000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს 50%-ით არაუმეტეს 700 ლარის ოდენობით.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ოპერაციის შემდგომი მკურნალობისთვის მედიკამენტების შეძენა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება. შედეგი: შემცირებულია ბენეფიციარების ჯანმრთელობის ზიანის რისკი	

პროგრამის დასახელება	კოდი	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა	დაფინანსება ლარში
	06 01 06		330 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	საქართველოს მოსახლეობისთვის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული მთელი რიგი სახელმწიფო (სამედიცინო) პროგრამებით. მიუხედავად ამისა COVID-19 პანდემიის დროს ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებისა და მოწყვლადი კატეგორიის მქონე ბენეფიციარებისთვის მედიკამენტების მიწოდება სიცოცხლისთვის აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული და მოწყვლადი კატეგორიის მქონე მოსახლეობას მედიკამენტების შეძენა არ შეუძლია. აქედან გამომდინარე ქედის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა შესაბამისი ოჯახებისთვის - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 0-დან 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ომის ვეტერანები, საქართველოს მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები (დედა, მამა, მეუღლე, შვილები), მრავალშვილიანი (18 წლამდე ასაკის 5 და მეტი შვილი) ოჯახის წევრები, მარტოხელა მშობლები და მათი შვილები, მარტოხელა ასაკით პენსიონერები, რომლებიც უსახსრობის გამო ვერ ახერხებენ მკურნალობის ჩატარებას. მედიკამენტებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ბენეფიციარები, რომლებიც საჭიროებენ მედიკამენტოზურ მკურნალობას წელიწადში ერთხელ ოჯახზე მიიღებენ 200 ლარიან დახმარებას ვაუჩერის სახით - მედიკამენტების შესაძენად. იმ შემთხვევაში თუ ოჯახში არის ორი შშმ პირი, ორი ვეტერანი, სოციალურად დაუცველი და შშმ პირი/ვეტერანი, მათ მიეცემა ორი 200 ლარიანი ვაუჩერი.		

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება. შედეგი: შემცირებულია ბენეფიციარების ჯანმრთელობის ზიანის რისკი
--	--

პროგრამის დასახელება	კოდი	ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა	დაფინანსება ლარში
	06 01 07		12 400
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	2019 წლის პირველი იანვრიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ დაიწყო ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის საშუალებით ეპილეფსიითა და პარკინსონით დაავადებული მოქალაქეების მედიკამენტებით უზრუნველყოფა. ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ პირებს, რომლებიც დარეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს, ასევე პენსიონერებს, შშმ პირებს, პარკინსონით და ეპილეფსიით დაავადებულ მოქალაქეებს. მოგეხსნებათ, რომ ეპილეფსიით და პარკინსონით დაავადებულ მოქალაქეებს, ქედის მუნიციპალიტეტის მერია მედიკამენტების შესყიდვით წლების განმავლობაში 100%-ნი დაფინანსებით უწევდა დახმარებას. მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა და ასაკიდან გამომდინარე. სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებისთანავე მოხდა მუნიციპალური პროგრამების შეწყვეტა, შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების ნაწილმა ვეღარ მიიღო ზოგიერთი დასახელების მედიკამენტები, რადგანაც სახელმწიფო პროგრამით მხოლოდ მედიკამენტების ნაწილი დაფინანსდა. 2021 წლის განმავლობაში სახელმწიფო პროგრამით პრაქტიკულად ვერ ხერხდება პარკინსონით და ეპილეფსიით დაავადებული მოქალაქეებისთვის მედიკამენტებით უზრუნველყოფა, რის გამოც ბენეფიციარები ხშირად მომართავენ ქედის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობას აღნიშნული მედიკამენტების შესყიდვის დაფინანსების მოთხოვნით.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში ქრონიკული დაავადებებით (ეპილეფსიით და პარკინსონით) დაავადებული მოქალაქეების უზრუნველყოფა სპეციფიკური მედიკამენტებით, რომლებიც არ ფინანსდება სხვა მიზნობრივი პროგრამებით. შედეგი: პროგრამის განახლებით აღმოიფხვრება არსებული ხარვეზები მედიკამენტებით უზრუნველყოფის მხრივ, ასევე მნიშვნელოვნად გააუმჯობესდება მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობა და შემცირდება მათი დანახარჯები მუდმივად მისაღები მედიკამენტების შესყიდვაზე.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური უზრუნველყოფა	დაფინანსება ლარში
	06 02		908 200
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება: - სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა; - ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება; - ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის; - ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი ფინანსური დახმარება; - გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება; - ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა; - სამედიცინო და სოციალური რეზილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რეზილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა; - საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა - ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლებით შეცვლის პროგრამა - 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა; - 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება, - საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის, - სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ზინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობების გაუმჯობესება შედეგი: გაუმჯობესებულია საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა	დაფინანსება ლარში
	06 02 01		32 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		

პროგრამის აღწერა	მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების დახმარება ქვეყნის ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის მთავარი და ძირითადი პრიორიტეტია. ქედის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველთათვის განკუთვნილია სასადილო დაბა ქედში, რომელიც ემსახურება აღნიშნული კონტიგენტის 23 ბენეფიციარს უფასო ერთჯერადი ცხელი საკვებით. ქვეპროგრამა მოქმედებს 2005 წლიდან. მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი: აღნიშნულ ქვეპროგრამაში ჩართვაზე უპირატესობა მიენიჭებათ მარტოხელებს, მრავალშვილიან ოჯახებს, შშმ პირებს და სოციალურად დაუცველ ოჯახებს. მიმდინარე ქვეპროგრამაში კვებით უზრუნველყოფა განხორციელდება ერთჯერადად ყოველდღიურად (წელიწადში 365 დღის) განმავლობაში მენიუს შესაბამისად. შერჩევა მოხდება 0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებს შორის, უპირატესობა მიენიჭება დაბალი ქულის მქონე მარტოხელა და ინვალიდ ბენეფიციარებს 2020 წლის განმავლობაში შემოსული განცხადებების მიხედვით.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა შედეგი: უზრუნველყოფილია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვება

პროგრამის დასახელება	კოდი	ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატუალო მომსახურების, მატერიალური და ფინანსური დახმარება	დაფინანსება ლარში
	06 02 02		78 900
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა სამშობლოს წინაშე ღვაწლმოსილ ადამიანებს, კერძოდ ომში დაღუპულებსა და ვეტერანებს, ბევრი რამ კეთდება მათი საყოფაცხოვრებო პირობებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ქედის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა ომის ვეტერანების, მათთან გათანაბრებულების და ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისათვის ქვეპროგრამა, რომელიც ითვალისწინებს უკვდავყოფის, გარკვეულ ოჯახებზე მატერიალური და ფინანსური დახმარების გაწევას. პროგრამას არეგულირებს 1995 წლის „ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონი და 2000 წლის საქართველოს კანონი „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“. ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპული მეომრის ოჯახისათვის ერთჯერადი დახმარების გაცემა, ასევე გათვალისწინებული ვეტერანის დაკრძალვისათვის (საჭიროების შემთხვევაში) ხარჯები და ვეტერანთათვის მოხდება თხევადი აირის შემენა.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ვეტერანთა უკვდავყოფა და მათზე ფინანსური და მატერიალური დამარების გაწევა შედეგი: გაწეული ფინანსური და მატერიალური დამარება		

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის	დაფინანსება ლარში
	06 02 03		14 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	2016 წელს ქედაში დაწყებული საპილოტე პროექტი განსაკუთრებულად მორგებული და ეფექტური აღმოჩნდა სოფლებში მცხოვრები ბენეფიციარებისათვის რაზეც უშუალოდ მოხუცებიც საუბრობენ: „მათ დამარცხეს სიკვდილის შიში და გაუჩნდათ ცხოვრების გაგრძელების იმედი“ რა აძლევთ მათ ამის საფუძველს ეს იყო აღნიშნულ პროექტში მჭიდრო და აქტიური როლი მოხალისეებისა, რომლებიც გაიწვრთნენ იმ აუცილებელი უნარებით რაც არამობილური ხანდაზმულების მოსავლელად და პირველი (ექიმადელი) გადაუდებელი დახმარების აღმოსაჩენად იყო საჭირო , მოხუცებს დაურიგდათ გადასადგომი საშუალებები (ეტლები, ყავარჯენი ჭოჭინა და ხელჯოხები) საჭიროების მიხედვით და მოხალისეებს მიეცათ მისი გამოყენების ინსტრუქტაჟი. პროექტი საქართველოში პირველად აჭარაში დაინერგა ეს არის განგამის შეტყობინების ყელსაკიდები, რომელიც დაურიგდა 9 ბენეფიციარს და ის სრულად პასუხობს იმ აუცილებელ მოთხოვნას, რომელიც გააჩნიათ მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ მარტოხელა მოხუცებს, ვინაიდან ისინი ხშირად საჭიროებენ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას და ცხოვრობენ რაიონიდან მოშორებით , ხშირად უჭირავთ სამედიცინო ეკიპაჟის დაგვიანებით მისვლას ან ზოგ შემთხვევაში (ტელეფონის არ ქონის, გონების დაკარგვის და სხვა) საერთოდ ვერ ახერხებენ გამოძახებას და ხშირად დაგვიანებული დახმარება ლეტალური შედეგების მიზეზი ხდება. ამიტომ ამ აპარატის საშუალებით მათ შეუძლიათ მასში წინასწარ მითითებული 5 ნომრიდან (რომლის თანმიმდევრობაც გონივრულად და შეთანხმებულად არის ჩაპროგრამებული) თითის 1 დაჭერით გამოიძახონ . ამ ეტაპზე 1) მეზობელი, 2) მოხალისე 3) სოფლის ექიმი,) ამ აპარატის საშუალებით მოხუცები დაცულები არიან კრიმინალისაგან და სტიქიური მოვლენების დროს უმწეობის მიზეზით ტრაგიკული შედეგებისაგან.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ არამობილურ ხანდაზმულებისათვის შინ მოვლის სერვისების უზრუნველყოფით, საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, სოციალური ინტეგრაცია და ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება შედეგი: შემცირებულია მარტოხელა ხანდაზმულების ჯანმრთელობის ზიანის რისკი		

პროგრამის დასახელება	კოდი	ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარება	დაფინანსება ლარში
	06 02 04		105 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარება ქვეყნის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. დემოგრაფიული პრობლემების ფონზე დღის წესრიგში დადგა მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური დახმარება. სწორედ ამიტომ, მე-4, მე-5 და მეტი შვილის შეძენასთან დაკავშირებით დახმარებას მიიღებენ მშობლები, რომლებიც რეგისტრირებული არიან ან/და ერთ-ერთი მშობელი რეგისტრირებულია ქედის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოთხ და მეტ შვილიან ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა შედეგი: ოთხ და მეტ შვილიან ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) განხორციელებულია მატერიალური დახმარება		

პროგრამის დასახელება	კოდი	გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება	დაფინანსება ლარში
	06 02 05		50 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება ქვეყნის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, ამი მიზნით ქვეყანაში შემუშავდა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს პროგრამაში მონაწილე თითოეული პირისათვის ყოველთვიურ ფულად დახმარებას და უფასო სამედიცინო მომსახურების დახმარების პაკეტს. 0-დან 100 000 ლარის მქონე ოჯახებისათვის მუნიციპალიტეტის მერიამ დამატებით შეიმუშავა ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ერთჯერადი მატერიალური დახმარება, რომელიც 400 ლარს შეადგენს		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 0-დან 100000 ლარის მქონე ოჯახებისათვის ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა შედეგი: ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში გაწეული ერთჯერადი მატერიალური დახმარება		

პროგრამის დასახელება	კოდი 06 02 06	ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა	დაფინანსება ლარში 20 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარის ქ. ბათუმის კლინიკებში დიალიზის სეანსების ჩასატარებლად ტრანსპორტირებისათვის ფინანსურ დახმარებას. ტრანსპორტირების ხარჯი ერთ ბენეფიციარზე გათვლილია ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიერ მოწოდებული მგზავრობის ღირებულების მიხედვით, (პაციენტები ყოველთვიურად იტარებენ 13-მდე დიალიზის სეანს), ვინაიდან ხშირ შემთხვევაში აღნიშნული კატეგორიის ბენეფიციარებს არ აქვს ტრანსპორტირების ხარჯები, ძირითადად ცხოვრობენ სოფლად და უწევთ ორი სახის ტრანსპორტის შეცვლა. პროგრამით გათვალისწინებული დახმარება მათთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იქნება. ქედის მუნიციპალიტეტიდან 8 ბენეფიციარი მკურნალობს, პროგრამა შედგენილი იქნა დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების მომართვის საფუძველზე.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირება შედეგი: ხელშეწყობილია ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობა		

პროგრამის დასახელება	კოდი	სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა	დაფინანსება ლარში
	06 02 07		35 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		

პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის კურსებზე თაანამხლებ პირთან ერთად მგზავრობის ღირებულების ანაზღაურებას, რომელთა კურსები დაფინანსებულია აჭარის ა.რ. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამით. აღნიშნული პროგრამით სარგებლობს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები (ცერებრალური დამბლის, კუნთების პირველადი დაზიანების, ცენტრალური ნერვული სისტემის ანთებითი და სისხლძარღვოვანი დაავადებების ნარჩენი მოვლენების, ეპილეფსიის, სპინური კუნთოვანი ატროფიისა და მასთან დაკავშირებული სინდრომების, კუნთოვანი დისტროფიის, თანდაყოლილი მიოპათიების, კუნთების სხვა (მათ შორის დაუზუსტებელი) დაზიანების, ჰემიპლეგიის, პარაპლეგიის და ტეტრაპლეგიის მქონე 3 წლამდე ასაკის ბავშვები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები. ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე 7 წლამდე ასაკის ადრეული განვითარების სახელმწიფო პროგრამაში ჩართული 1 (ერთი) ბავშვისათვის ადრეული განვითარების სპეციალისტის მიერ მომსახურების გასაწევად ადგილზე მიმოსვლის ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურებას.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა შედეგი: ხელშეწყობილია ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობა

პროგრამის დასახელება	კოდი	ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლებით შეცვლა	დაფინანსება ლარში
	06 02 09		257 700
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	ქედის მუნიციპალიტეტში ცხოვრობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კატეგორია, რომელთა საცხოვრებელი სახლები სიძველით ამორტიზირებულია და საცხოვრებლად საფრთხეს წარმოადგენს, ვინაიდან აღნიშნულ ოჯახებს არ გააჩნიათ ახალი საცხოვრებელი სახლების აშენების ან აღდგენის რესურსი, მუნიციპალიტეტის მერია მათ შეუძენს ახალ კაპიტალურ საცხოვრებელ სახლებს. ბენეფიციართა შერჩევა მოხდება შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე. პროგრამაში ჩაერთვება 0-დან 100 000-მდე ქულის მქონე ოჯახები.		

პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში უკიდურესად გაჭირვებული და ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახების სოციალური მდგომარეობის და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება შედეგი: გაუმჯობესებულია მოსახლეობის სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობები		
პროგრამის დასახელება	კოდი	საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა	დაფინანსება ლარში
	06 02 08		100 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრირებულია ათეულობით განცხადება, რომლითაც ითხოვენ სიძველის გამო საცხოვრებელი სახლების ამორტიზირებული სახურავების შეცვლით დახმარებას. აღნიშნული მოქალაქეების უმრავლესობა იმყოფება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ და არ გააჩნიათ საშუალება, რომ საკუთარი სახსრებით მოახდინონ საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთება. გამომდინარე აქედან საჭიროა აღნიშნული პროექტის განხორციელება, რათა ეტაპობრივად მოხდეს მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება. აღნიშნული პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. პროგრამის ფარგლებში, თუნუქის ფურცლების გაცემა განხორციელდება კომისიური წესით (მონაკვეთების ან მთლიანი ნაწილის) გადახურვის მიზნით. თუნუქის ფურცლების გაცემისას უპირატესობა მიენიჭება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მრავალშვილიან ოჯახებს.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: ქედის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის საცხოვრებელი სახლის სახურავით უზრუნველყოფა შედეგი: გაუმჯობესებულია მოსახლეობის სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობები		

პროგრამის დასახელება	კოდი	0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა	დაფინანსება ლარში
	06 02 10		84 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	შემუშავებული იქნა მოვლის საჭიროების მქონე პირთა მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფის პროგრამა. ქვეპროგრამის ფარგლებში პირადი ჰიგიენის მოწესრიგების მიზნით სამედიცინო მოვლის საგნების შესასყიდად ყოველთვიური მატერიალური დახმარება გაეწევა 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირებს.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის მატერიალური დახმარება შედეგი: 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ ბენეფიციარების უზრუნველყოფა მატერიალური (ფინანსური) დახმარებით.		

პროგრამის დასახელება	კოდი	0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება	დაფინანსება ლარში
	06 02 11		3 600
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა	არსებობს იშვიათი დაავადებები (ფენილკეტონურია, ცელიაკია და ა.შ.), რომელთა მკურნალობის ძირითადი საშუალებაა დიეტათერაპია, დროული და სწორი დიეტის შემთხვევაში ბავშვი სრულფასოვნად განვითარდება და არაფერი შეაწუხებს. ასეთი პაციენტების სხვა ბავშვებისგან განმასხვავებელი ერთადერთი ნიშანი კვების რაციონი არის, რისთვისაც საჭიროა შესაბამისი პროდუქტის შეძენა, რაც საკმაოდ დიდ თანხებთან არის დაკავშირებული და აღნიშნულ ოჯახებს ფინანსური ხარჯები მძიმე ტვირთად აწევს. გამომდინარე აქედან მუნიციპალიტეტის მერიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ასეთ კატეგორიის ბენეფიციარებზე სპეციალური-სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ყოველთვიურად გაუწიოს ფინანსური დახმარება.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მიზანი: 0-დან 18 წლამდე ასაკის სპეციალურ კვებაზე მყოფი ბავშვებისთვის შესაბამისი პროდუქტის შესაძენად ფინანსური დახმარება შედეგი: ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველყოფა		

პროგრამის დასახელება	კოდი	“საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის	დაფინანსება ლარში
	06 02 12		20 000
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება.		
2	სხვა პროგრამული ხარჯები						
2.1	საქმიანობათა ცენტრის აღჭურვა	ცენტრი	319.60	2	639.20	0.00	639.20
2.2	ცენტრის მიმდინარე ხარჯები	ცენტრი	120.00	12	1440.00	0.00	1440.00
2.3	სატრანსპორტო ხარჯები	კაცი	30.00	12	360.00	0.00	360.00
	ქვეჯამი				2439.20	0.00	2439.20
3	ადმინისტრაციული ხარჯები						
3.1	პროგრამების კოორდინატორი ცენტრალურ/რეგიონულ დონეზე	თვე	766.00	12	9192.00	4596.00	4596.00
3.2	საქმიანობათა ცენტრის მენეჯერი	თვე	530.40	12	6364.80	0.00	6364.80
3.3	პროგრამების კოორდინატორი ცენტრალურ/რეგიონულ დონეზე (კატასტროფების მართვა, ჯანდაცვა და სოციალური მხარდაჭერა, პირველი დახმარება, ფილიალების განვითარება, ფინანსები და ლოჯისტიკა)	თვე	574.50	6	3447.00	3447.00	0.00
	ქვეჯამი				19003.80	8043.00	10960.80
	სულ ჯამი				42893.00	22893.00	20000.00

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სოციალური უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

06 02 13

ქვეპროგრამის დასახელება:

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა)
მატერიალური დახმარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

ქვეპროგრამის ბიუჯეტი:

დასახელება	2022 წელი
მუნიციპალური ბიუჯეტი	108 000
სახელმწიფო ბიუჯეტი	0
სულ ქვეპროგრამა	108 000

ქვეპროგრამის მიზანი:

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე ბინის ქირით უზრუნველსაყოფად კომპენსაციის გაცემა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახებზე მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან ხორციელდებოდა დროებითი საცხოვრებლის ბინის ქირის უზრუნველსაყოფად მატერიალური დახმარება. ვინაიდან, საგრძნობლად იზრდება ასეთი ოჯახების რაოდენობა, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი არასაკმარისი გახდა დაზარალებულ ოჯახებზე ბინის ქირის თანხით უზრუნველყოფა, რის გამოც საჭირო გახდა მიზნობრივი პროგრამის შემუშავება. ქვეპროგრამის ფარგლებში (ბინის ქირის ასანაზრაურობლად) კომპენსაციის მიღების უფლება აქვს:

1) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ან/და მცხოვრებ იმ პირს, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში გააჩნია ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სტიქიური პროცესის ზონაში მოხვედრილი საცხოვრებელი სახლი, რომლის ნაწილი ან მთლიანად დაანგრეულია ნებისმიერი სტიქიური მოვლენით (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათაცვენა, მდინარის, წყლის მოქმედების შედეგად ნაპირების გარეცხვა, ჯდენადი გრუნტი, თოვლ/ზვავი და სხვა) და შესაბამისი კომპეტენტური უწყებიდან გაცემული გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება ადგილმონაცვლეობას.

- 2) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ან/და მცხოვრებ იმ პირს, რომლის ფლობელობაში/საკუთრებაში არსებული სახლი არ არის დანგრეული მაგრამ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სტიქიური მოვლენები (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზავი, ქვათაცვენა, მდინარის, წყლის მოქმედების შედეგად ნაპირების გარეცხვა, ჯდენადი გრუნტი, თოვლ/ზვავი და სვა) საფრთხეს უქმნის იქ მცხოვრებ ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და მათ ქონებას და გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება ადგილმონაცვლეობას.
- 3) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ან/და მცხოვრებ იმ პირს, რომლის ფლობელობაში/საკუთრებაში არსებული სახლი იმყოფება სტიქიური მოვლენების ზონაში და გეოლოგიური თვალსაზრისით საცხოვრებელი სახლების შედგომი ექსპლუატაციის მიზნით, სხვადასხვა სახის პრევენციული ღონისძიების განხორციელებამდე შესაბამისი კომპეტენტური უწყებიდან წარმოდგენილი გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ექვემდებარება დროებით გაყვანას უსაფრთხო ადგილას.
- 4) ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ან/და მცხოვრებ იმ პირს, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სახლი დაიწვა მთლიანად ან/და ნაწილობრივ სხვადასხვა მიზეზით და მასში ცხოვრება შეუძლებელია.
- 5) კომპენსაციის მიღების უფლება აქვს დაზარალებულ ოჯახებს რომლებსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვთ სტიქიური მოვლენის შედეგად საცხოვრებლად გამოსაუადგარი სახლი, ამასთან მას და მისი ოჯახის წევრებს არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებლად ვარგისი ალტერნატიული ფართი.
- 6) კომპენსაციის გაცემა ერთ განმცხადებელზე შესაძლებელია განხორციელდეს იმ პრობლემის აღმოფხვრამდე, რაც საფუძვლად დაედო კომპენსაციის გაცემას, მაგრამ არაუმეტეს 2022 წლის საბიუჯეტო წლის ბოლომდე.
- 7) დაუშვებელია ერთზე მეტი თვის კომპენსაციის ერთდროულად გაცემა.
- 8) დაუშვებელია ამორტიზებულ ფართში მცხოვრები ოჯახების დაყოფა და ცალკე-ცალკე ფართის დაქირავება კომპენსაციის დადგენილზე მეტი ოდენობის მიღების მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა თუ ოჯახი დაყოფილი იყო დაზარალებამდე, ეწეოდა ცალკ-ცალკე მეორნეობას და არიან ენერგომოხმარების დამოუკიდებელი აბონენტები რაც დადასტურდება მოხსენებითი ბარათით შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის მიერ.
- 9) დახმარება გაიცემა დაზარალებულ ოჯახზე ყოველ თვიურად არაუმეტეს 300 ლარის ოდენობით, რომლებსაც ესაჭიროება გადაუდებელი დახმარების გაწევა - დროებითი საცხოვრებელი ბინის ქირით უზრუნველყოფის მიზნით.
- 10) ქვეპროგრამით ისარგებლებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან/და მცხოვრები სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული 50 ოჯახი. (ბინის ქირის ასანაზრაურებლად) კომპენსაციის გაცემა განხორციელდება ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე.
- 11) თანხა ჩაირიცხება გამქირავებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

12) დროებითი საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში, დაზარალებული ვალდებულია წარმოადგინოს განცხადება და გამქირავებლის საბანკო რეკვიზიტი.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებზე ბინის ქირით უზრუნველყოფა	30	300	108 000
სულ ქვეპროგრამა			108 000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

დასახელება	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებზე ბინის ქირით უზრუნველყოფა	x	x	x	x

შუალედური მოსალოდნელი შედეგი (2022 წელი)

ფინანსური და მორალური მხარდაჭერა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის

დამატებითი ინფორმაცია



ქედის მუნიციპალიტეტის 2022-2025

**წლების საშუალოვადიანი
პრიორიტეტების დოკუმენტი**

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი ასახავს ქედის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებს და პროგრამებს, რომელთა განხორციელებაც გათვალისწინებულია ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით.

პრიორიტეტების დოკუმენტი მომზადებულია „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივნისის №385 ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

საქართველოს მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დასახული პრიორიტეტების, ასევე ქედის მუნიციპალიტეტში არსებული სიტუაციის ანალიზის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა და განისაზღვრა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

- ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის

2021 წლის წლიური შესრულების შესახებ

შ ე მ ო ს უ ლ ო ბ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N10 დადგენილებით მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებული წლიური მოცულობა 11631356 ლარის ოდენობით განისაზღვრა, ხოლო დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 12108471 ლარით.

ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის მდგომარეობით მიღებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 2292491.99 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სპეციალური ტრანსფერი 1600000 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - 1099151.07 ლარი, გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 7127710.99 ლარი, მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 6792099.07 ლარი, ქონების გადასახდი 335612 ლარი, სხვა შემოსავლებიდან სულ მიღებული იქნა 236508 ლარი, მათ შორის: პროცენტები 20454 ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 85835 ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 13184 ლარი, სანებართვო მოსაკრებელი 37238 ლარი, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 13482 ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები 23871 ლარი, ნებაყოფილობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე 42445 ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან 122530 ლარი. 2020 წლის ფაქტიური შემოსულობები დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით შესრულებულ იქნა 103,50%-ით.

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის 2020 წლის გადასახდელების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 12 1084471 ლარის ოდენობით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 11650162,92 ლარი. (96.21%)

I. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 2020 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2176034,91 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2118596,52 ლარი, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 556 460 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 551182 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1511282 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1470461 ლარი.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის სამსახურის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 59 900 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 52732 ლარი.

მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 44 315 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 44 221,22 ლარი.

II. ინფრასტრუქტურის და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 439338 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1403448 ლარი, საიდანაც

შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 854015 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 818247 ლარი,

სოფელ აქუცის ქვედა უბანში მისასვლელ გზაზე მდინარე აჭარის წყალზე გადასასვლელი საავტომობილო ხიდის მშენებლობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 503 023 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 503022 ლარი,

ქედის მუნიციპალიტეტში აბაშიძის ქუჩის რეაბილიტაცია 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 69200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 69129 ლარი.

სოფელ დოლოგანთან დუმბაძეების უბანში, მდინარე აჭარისწყალზე საავტომობილო ხიდის მშენებლობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 8100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 8050 ლარი.

მთებზე მოიალალეთა ტრანსპორტირების 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4999,89 ლარი.

საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 555 510 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 519759 ლარი, მათ შორის

სოფელ ორცვის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 124 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 119 311 ლარი,

სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ის საწესდებო კაპიტალის შეტანა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 15600 ლარი,

სარწყავი არხების, სასმელი წყლისა და წყალსადენებისათვის მიწების შეძენის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 12600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 11 777 ლარი.

ზუნდაგის ბაგა-ბაღის წყლის სისტემის რეაბილიტაცია 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 29050 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 28 155 ლარი.

დანდალოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების ხარაულა-ჯალაბაშვილებისა და დანდალოს სასმელი წყლის რეაბილიტაცია 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 28500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 16422 ლარი,

მახუნცეთში (აწვესის დასახლებაში) საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 19800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 18634 ლარი,

შპს ქედის წყალკანალი 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 325 460 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 325459 ლარი.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1823960 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 742787 ლარი, მათ შორის:

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 483 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 474518 ლარი.

დაბა ქედაში მ. კოსტავას ქუჩა #3 მდებარე ორსართულიანი შენობის რეკონსტრუქცია (მუზეუმის განსათავსებლად) 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 146500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 106434 ლარი.

დაბა ქედაში მდინარე აკავრეთასა და აჭარის წყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 386160 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 382 835 ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 174 820 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 158613 ლარი.

დაბის ტერიტორიის კეთილმოწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 22600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 22516 ლარი.

დაბა ქედაში ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალური პარკის კეთილმოწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 371 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 371900 ლარი.

ზვარის ცენტრის კეთილმოწყობა (მოსაცდელის მშენებლობა) 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5500 ლარი.

დაბა ქედაში თედო სახოკიას ქუჩა №3 საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ ფერდსამაგრი კედლის მოწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 87 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 85 004 ლარი.

დაბა ქედაში 26 მაისის ქუჩის კეთილმოწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 30030 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 29126 ლარი.

დაბა ქედაში თამარ მეფის ქუჩის კეთილმოწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 33000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 90291 ლარი.

სოფელ ქედაში მე-3 ქუჩის I ჩიხი №2 საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ ფერდსამაგრი კედლის მოწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 22250 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 21549 ლარი.

ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2870 ლარი.

პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 214 477 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 199466 ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის პროგრამა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 6500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6435 ლარი.

არასაცხოვრებელი შენობა ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3600 ლარი.

შ.პ.ს. ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 71 450 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 70681 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 748 056 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 622 036 ლარი.

III. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და ნარჩენების გატანა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 541650 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 541566 ლარი, მათ შორის:

შპს ქედის კომუნალურსერვისი 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 541650 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 541566 ლარი.

ნაგვისშემგროვებელი კონტეინერების შეძენა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 30 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 29 640 ლარი.

IV. განათლება

განათლების სფეროს 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1352306 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1327564 ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლების დაფინანსება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1352306 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1327564 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის ბაგა-ბალების გაერთიანების 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 224376 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1205833 ლარი.

ახოს ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 70 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 66 789 ლარი.

დაბა ქედის N2 ბაგა-ბაღის რემონტი 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 57230 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 54943 ლარი.

V. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1774915 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1739682 ლარი, მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 900535 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 869946 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 266910 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 261221 ლარი.

სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 15660 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 15622 ლარი.

საფეხბურთო კლუბის მხარდაჭერი ღონისძიებების 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 76200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 75115 ლარი.

სარაგბო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებების 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 80000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 79209 ლარი.

სპორტული სტადიონების რეაბილიტაცია (დაბა ქედა 105300, სოფელ კ.მაისი 66900, სოფელი ახლ 63000, სოფელი ახლ #1 საშუალო სკოლასთან 64800) 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 461 765 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 438779 ლარი.

კულტური განვითარების ხელშეწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 868780 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 864466 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 654300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 651180 ლარი.

ა.ა.ი.პ ქედის ხელოვნების სკოლის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 120 880 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 119993 ლარი.

ა.ა.ი.პ ქედის მუზეუმის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 68400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 68146 ლარი.

კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა 2019 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 25200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 25147 ლარი.

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2994 ლარი.

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2277 ლარი.

VI. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროს 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 365274 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1322034 ლარი, მათ შორის:

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 407792 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 379153 ლარი, საიდანაც

ამბულატორიული მომსახურეობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 154092 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 153841 ლარი.

სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 154000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 133012 ლარი.

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 92300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 92300 ლარი.

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით რიგი დაწესებულებების სადეზინფექციო დამუშავებისათვის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2400 ლარი.

სამკურნალო/გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარების ხელშეწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5000 ლარი.

სოციალური დაცვის ღონისძიებების 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 957482 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 942881 ლარი, საიდანაც

სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 24000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 23858 ლარი.

ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 31595 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 29769 ლარი.

ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 13750 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 13025 ლარი.

ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 66000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 63000 ლარი.

გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 46355 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 45155 ლარი.

ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 13800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 12686 ლარი.

სამედიცინო და სოციალური რეზილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცი-რეზილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 15000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 12243 ლარი.

სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (ადგილობრივი და აჭარის ა/რ სარეზერვო ფონდი) 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 620582 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 619083 ლარი.

საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 29 900 ლარი. ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 28487 ლარი.

მკვლი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლების შესაძენად ფინანსური დახმარება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 60500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 60475 ლარი.

0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის მატერიალური დახმარების უზრუნველყოფა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 36000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 35100 ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის

გეგმა-შესრულება 2021 წლის მდგომარეობით

შ ე მ ო ს უ ლ ო ბ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებით მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 17 416 460 ლარით.

ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მდგომარეობით მიღებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 4 777 813.87 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - 982 301.51 ლარი, გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 9 484 720.83 ლარი, მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 9 155 635.32 ლარი, ქონების გადასახადი 329 085.51 ლარი, სხვა შემოსავლებიდან სულ მიღებული იქნა 537 312.41 ლარი, მათ შორის: პროცენტები 128 949.76 ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 67 299.76 ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი და გადასახადები 22 266.10 ლარი, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 17 555.31 ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები 29 314.21 ლარი, ტრანსფერები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული 271 928 ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან 31 516 ლარი.

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის 2021 წლის გადასახდელების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 17 416 460 ლარის ოდენობით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 15 483 951.22 ლარი.

I. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 2021 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3 623 288 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 163 948 ლარი, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 575 500 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 552 257 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 908 328 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 821 979 ლარი.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის სამსახურის 2021 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 73 800 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 62 220 ლარი.

მონაწილეობითი ბიუჯეტი 2021 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 950 000 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 618 073 ლარი.

მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში 2021 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 68 800 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 68 776 ლარი.

მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება 2021 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 45 000 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 40 643 ლარი;

II. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3 097 893 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 847 570 ლარი, საიდანაც

შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 188 923 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 990 507 ლარი;

სოფელ აქუცის ქვედა უბანში მისასვლელ გზაზე მდინარე აჭარის წყალზე გადასასვლელი საავტომობილო ხიდის მშენებლობა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 429 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 392 372 ლარი,

დაბა ქედაში აბუსერიძის ქუჩა #23-ის მიმდებარედ მისასვლელი გზის რემონტი 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 228 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 223 801 ლარი,

მთებზე მოიალაღეთა ტრანსპორტირება 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 5 000 ლარი,

დაბა ქედაში გოგებაშვილის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩის ჩასასვლელის რეაბილიტაცია 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 48 000 ლარი; ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 47 963 ლარი,

ბურღვა აფეთქება 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 12 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 11 999 ლარი,

დაბა ქედა, ვაჟა ფშაველას ქუჩაზე გზის რეაბილიტაცია 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 65 770 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 59 230 ლარი,

დაბა ქედაში 9 აპრილის ქუჩაზე გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 120 200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 116 699 ლარი,

საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 829 040 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 636 264 ლარი, მათ შორის:

ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კოკოტაურში ახალი წყლის სისტემის მშენებლობა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 107 800 ლარი; ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 77 535 ლარი,

ქედის მუნიციპალიტეტის, სოფელ დანდალოში ოტოლაძეების უბანში არსებული სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 56 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 53 739 ლარი;

ქედის მუნიციპალიტეტის, სოფელ დანდალოში ბაგა-ბადის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 21 250 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 20 519 ლარი,

სს აჭარის წყლის ალიანსის“ საწესდებო კაპიტალის შეტანა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 10 400 ლარი,

ქედის მუნიციპალიტეტის, სოფელ ძენწმანში არსებული სარწყავი არხის რეაბილიტაცია 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 12 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 11 795 ლარი,

სარწყავი არხების, სასმელი წყლისა და წყალსადენებისათვის მილების შეძენა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 91 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 90 931 ლარი,

სოფელ კუჭულაში სასმელი წყლის გამანაწილებელი აუზის მოწყობა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 6 800 ლარი,

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგანში სასმელი წყლის სისტემის სისტემის მშენებლობა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 114 500 ლარი,

სოფელ ქედაში ხაბაზების უბანში 8 ოჯახისათვის ახალი სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 91 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 54 056 ლარი;

შპს ქედის წყალკანალი 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 327 690 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 327 689 ლარი;

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 168 990 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 721 6528 ლარი, მათ შორის:

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 33 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 31 210 ლარი,

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 702 ლარი,

26 მაისის ქ. N2-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 57 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 50 608 ლარი,

სოფელ გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმის რეაბილიტაცია 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 294 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 188 701 ლარი,

სოფელ გარე ტყეში სოფლის სახლის მშენებლობა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 50 000 ლარი,

სოფელ კოლოტაურში სოფლის სახლის რეაბილიტაცია 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 85 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 66 491 ლარი,

დაბა ქედაში მდინარე აკავრეთასა და აჭარისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 483 390 ლარი; ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 430 867 ლარი,

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 878 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 800 692 ლარი,

დაბა ქედაში ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალური პარკის კეთილმოწყობა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 146 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 122 043,

ცხმორისის სასაფლაოს შემოღობვა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 50 000 ლარი,

ზვარის ადმინისტრაციული ერთეულში შენობის მიმდებარეს პარკის მშენებლობა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 85 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 27 213 ლარი,

მუნიციპალური განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯების 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 205 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 120 899 ლარი, მათ შორის:

ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 885 ლარი,

პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 200 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 118 014 ლარი,

სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 18 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 16 435 ლარი, მათ შორის:

აგრო-სასურსათო პროდუქციის ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვაში მონაწილეობა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 000 ლარი,

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის პროგრამა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 6 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6 435 ლარი,

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ეფექტური დაცვა გარეუღიციხოველებისაგან „ელექტრო ლობრე“ 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 10 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 10 000 ლარი,

არასაცხოვრებელი შენობა ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 11 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 10 200 ლარი.

შ.პ.ს. ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 212 68 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 184 950 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 750 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 657 620 ლარი,

მთების ელექტროფიკაცია 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 100 000 ლარი.

III. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და ნარჩენების გატანა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 879 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 878 844 ლარი, მათ შორის:

შპს ქედის კომუნალურსერვისი 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 859 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 859 324 ლარი,

ნაგვის შემგროვებელი კონტეინერების შეძენა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 20 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 19 520 ლარი,

IV. განათლება

განათლების სფეროს 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 811 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 782 814 ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლების დაფინანსება 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 811 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 782 814 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 553 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 553 326 ლარი,

ქედის N1 ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 257 300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 246 487 ლარი,

V. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 092 970 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 018 733 ლარი, მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 053 240 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 008 792 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლის 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 367 650 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 363 419 ლარი;

სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 30 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 29 979 ლარი;

საფეხბურთო კლუბის მხარდაჭერი ღონისძიებების 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 113 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 113 354 ლარი;

სარაგბო კლუბის მხარდაჭერი ღონისძიებების 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 98 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 97 654 ლარი;

დაბა ქედაში 9 აპრილის ქუჩაზე მინი სპორტული მოედნის მოწყობა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 75 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 71 917 ლარი;

სოფელ წონიარისში არსებული მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 144 090 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 138 742 ლარი,

სოფელ გულებში არსებული მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 78 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 68 848 ლარი,

სოფელ ძენწმანში არსებული მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 85 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 66 331 ლარი,

სოფელ ცხემნაში არსებული მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 60 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 58 548 ლარი,

კულტური განვითარების ხელშეწყობა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 970 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 948 341 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრის 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 719 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 706 622 ლარი;

ა.ა.ი.პ ქედის ხელოვნების სკოლის 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 123 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 121 139 ლარი;

ა.ა.ი.პ ქედის მუზეუმის 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 78 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 76 930 ლარი;

კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 50 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 43 649 ლარი;

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 426 ლარი;

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 130 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 130 ლარი;

სოფელ მერისის კულტურის სახლის რემონტი 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 63 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 56 045 ლარი.

VI. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროს 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 617 123 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 444 149 ლარი, მათ შორის:

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიების 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 882 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 840 042 ლარი, საიდანაც

ამბულატორიული მომსახურეობა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 209 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 204 552 ლარი;

სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 139 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 136 798 ლარი;

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 82 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 82 500 ლარი;

სამკურნალო/გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარების ხელშეწყობა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5 000 ლარი;

ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 61 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 60 006 ლარი;

მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 340 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 330 673 ლარი;

სოფელ დოლოგანში ადმინისტრაციული შენობისა და ამბულატორიის რეაბილიტაცია 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 38 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 21 409 ლარი;

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1404 ლარი;

სოციალური დაცვის ღონისძიებების 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 734 623 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 604 107 ლარი, საიდანაც

სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 25 200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 24 596 ლარი;

ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატულო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 34 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 29 453 ლარი;

ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 17 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 12 120 ლარი;

ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 78 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 73 200 ლარი;

გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 50 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 42 800 ლარი;

ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 13 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 12 889 ლარი;

სამედიცინო და სოციალური რებილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რებილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 25 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 21 413 ლარი;

საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 97 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 96 996 ლარი,

ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლების შესაძენად ფინანსური 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 155 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 70 453 ლარი,

0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის მატერიალური დახმარების უზრუნველყოფა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 38 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 38 500 ლარი;

მარტოხელა პენსიონერებისათვის სასურსათო პროდუქტის შეძენა 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 16 500 ლარი,

საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 20 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 20 000 ლარი.

სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (ადგილობრივი და აჭარის ა/რ სარეზერვო ფონდი) 2021 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 163 823 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 161 687 ლარი

ქედის მუნიციპალიტეტის 2022-2025 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტები

პრიორიტეტის დასახელება: ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

პრიორიტეტის დასაბუთება:

მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის და მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ განმსაზღვრელ წინაპირობას მუნიციპალური და კომუნალური მომსახურების ხარისხი წარმოადგენს, რაც უშუალო კავშირშია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომ გაუმჯობესებასთან. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით,

მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილებების მნიშვნელოვანი ნაწილი ინფრასტრუქტურულ საკითხებს უკავშირდება. შესაბამისად მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი მუნიციპალური და კომუნალური მომსახურების ინფრასტრუქტურის განვითარება და მართვის მდგრადი სისტემის დანერგვა, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მოთხოვნილებებს, უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი და 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი მოქალაქეთა ჩართულობის სხვადასხვა ფორმების გამოყენებით შემუშავდა. საჭიროებათა იდენტიფიცირებისა და პრიორიტეტიზაციის მიზნით ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები, სამუშაო შეხვედრები და რაოდენობრივი გამოკითხვა. ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის პრაქტიკის გაუმჯობესებაში ქედის მუნიციპალიტეტს ტექნიკური მხარდაჭერა გაუწია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტმა „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“, რომელიც ევროკავშირის (EU) პარტნიორია საქართველოში სოფლის განვითარების მხარდაჭერის საქმეში.

პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა საჭიროებების გამოკვეთის მიზნით მაისის თვეში ჩატარდა 5 ფოკუს-ჯგუფი, რომლებზეც მოწვეული იყვნენ მოქალაქეები ქედის მუნიციპალიტეტის ათივე ადმინისტრაციული ერთეულის სხვადასხვა სოფლებიდან. ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა სათემო აქტივისტებმა, LAG-ის წარმომადგენლებმა, ადგილობრივმა ფერმერებმა, სკოლის პედაგოგებმა, შშმ პირებმა, ახალგაზრდებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა.

ფოკუს-ჯგუფების შემდეგ გაიმართა სამუშაო შეხვედრა-დისკუსია, სადაც მოწვეული იყვნენ ხუთივე ფოკუს-ჯგუფის აქტიური მონაწილეები. შეხვედრაზე იმსჯელეს დაბა ქედასა და სოფლებში არსებულ გამოწვევებზე და გამოკვეთეს ის პრიორიტეტული საკითხები, რომელთა გათვალისწინებაც მნიშვნელოვანი იქნებოდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

ფოკუს-ჯგუფებისა და სამუშაო შეხვედრის შემდეგ მომზადდა მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული პრობლემების ჩამონათვალი: შიდა გზების მოწესრიგება; საინიალვრე სისტემების მოწესრიგება; საგზაო მოძრაობის მოწესრიგება (სკოლებთან და ბაღებთან) და დამცავი ბარიერები; ტროტუარების მოწესრიგება გზების უხვი ნალექისგან გაწმენდა; გარე განათება; მუნიციპალური ტრანსპორტი; სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესება; სარწყავი სისტემის მოწესრიგება; საბავშვო-გასართობი ინფრასტრუქტურის შექმნა; სპორტულ-განაჯანსაღებელი ობიექტების მოწყობა: საცურაო აუზი, ტრენაჟორები, სპორტული მოედნები; კანალიზაციის მოწყობა; დასუფთავების სერვისის გაუმჯობესება; სოფლებში საბავშვო ბაღების აშენება; სკოლისგარეშე განათლების ცენტრების ფუნქციონირება; ბაზრები/ბაზრობები და გამოფენა-გაყიდვების ორგანიზება; კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების (ბიბლიოთეკა, კულტურის ცენტრები, თეატრი და სხვა) ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; შეკრებისთვის თავისუფალი სივრცეების მოწყობა და სხვა.

პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით ასევე გადაწყვეტილი იყო მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარება, რისთვისაც მომზადდა რაოდენობრივი კვლევის კითხვარი. თუმცა ქვეყანაში გართულებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გამო პირისპირ გამოკითხვა ვეღარ განხორციელდა, რის გამოც გამოკითხვა ელექტრონული ფორმით ჩატარდა. ელექტრონული კითხვარი 70-ზე მეტმა მოქალაქემ შეავსო.

კვლევის მონაწილეთა მიერ სამ ყველაზე პრიორიტეტულ საკითხად დასახელდა: ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, დასაქმების ხელშეწყობა და ეკონომიკური განვითარება და მოსახლეობისთვის სოციალური და ჯანდაცვის სერვისების მიწოდება.

გამოკითხულთა აზრით, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის კი მნიშვნელოვანია სოფლებში შიდა საუბნო გზების მოწესრიგება, გარე განათების მოწყობა, წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება და სანიაღვრე არხების მოწყობა.

მუნიციპალიტეტის მხრიდან ბოლო წლებში ჯეროვანი ყურადღება ექცევა სოფლებში საგზაო ინფრასტრუქტურისა და განვითარების საკითხებს. ბოლო წლებში სოფლის გზებზე ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებით 36 კმ მანძილზე მეტი ბეტონის საფარი დაიგო, მუნიციპალიტეტის მიერ შემენილი ორი ერთეული მძიმე ტექნიკით ექსტრემალურ სიტუაციებში დროულად ხდება დაზიანებული გზის მონაკვეთების აღდგენა, სანიაღვრე არხებისა და მეწყერებისგან დაზიანებული გზის ნაპირების გამაგრება. ასევე გზებზე არსებული საავტომობილო და საცალფეხო ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაცია. ბოლო ორ წელიწადში 4 ახალი ხიდი აიგო 4 სოფელში.

ქედის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული რელიეფის სირთულის გამო მეტწილ სოფლებში დასახლებულ პუნქტებში არსებული მეწყერული პროცესების აქტიურობის გამო ხშირია რისკები და საფრთხეები საცხოვრებელი სახლების დაშლის ან დაზიანების მხრივ. გეოლოგიური კვლევის შედეგებისა და რეკომენდაციების საფუძველზე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სისტემატიურად გამოიყოფა ხარჯები. უკანასკნელ წლებში მუნიციპალიტეტის 60-მდე სოფელში განხორციელდა 207 პროექტი მეწყერული პროცესების შეჩერებისა და პრევენციის მიზნით. განხორციელებული პროექტების ამოქმედებით მოეწყო ფერდსამაგრი კედლები, სანიაღვრე არხები და მილხიდები, ასევე დაბა ქედაში მიმდინარეობს მდინარეების აკავრეთასა და აჭარისწყლის სანაპიროებზე მოეწყო რკინა ბეტონის ჯებირები 700-ზე მეტი გრძივი მეტრი რითაც დაბის დასახლება და ინფრასტრუქტურა დაცული იქნა წყალმოვარდნის საფრთხისაგან, რაც გასულ წლებში სერიოზულ საფრთხეს შეადგენდა. ანალოგიური საფრთხეებისათვის სამომავლოდ მიმდინარეობს საკითხების პერიოდულად შესწავლა და შესაბამისი სამუშაოების ჩატარება.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია დაბასა და სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის ბიოლოგიურად სუფთა, უწყვეტი რეჟიმით წყალმომარაგების გადაწყვეტა. უკანასკნელი 6 წლის მანძილზე 17 სოფელში მოეწყო ახალი წყლის მაგისტრალი, რითაც წყლით უზრუნველყოფის საკითხი გაუმჯობესდა 1600-ზე მეტ აბონენტს. ასევე დაბის წყალმომარაგების ქსელისათვის აშენდა 500 ტონიანი სამარაგო ავზი და დამონტაჟდა მექანიკური და ქიმიური გამწმენდი საშუალებები, რითაც მიღებულია დაბის მცხოვრებთა და საწარმოების უწყვეტი

წყალმომარაგება. გატარებული ღონისძიებებით მიღწეული იქნა შედეგი, რომ წლის ლაბორატორიული კვლევის შედეგად დაბინძურების ფაქტები არ გამოვლენილა.

სამომავლოდ იგეგმება წყლის მომხმარებელი აბონენტების გამრიცხველიანება, ასევე ადრე აგებული 70 წყლის მაგისტრალის სარეაბილიტაციო სამშაოები: მილების ამოცვლა, სამარაგო ავზების რემონტი და მფილტრავი დანადგარების დაყენება.

პარალელურად თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოეწყო საკანალიზაციო სისტემები გამწმენდი ნაგებობები დაბა ქედაში, აწქესის დასახლებაში, ზვარის, ცხმორისის და მახუნცეთის თემებში. შედეგად მიღწეულია მოხმარებული წყლების გაუვნებელოება. სამომავლოდ იგეგმება გამწმენდ ნაგებობებზე წყლის ქიმიური დამუშავებისათვის საქლორატოროებით აღჭურვა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარემოს დაბინძურების თავიდან აცილებისა და ნარჩენების მართვის კუთხით მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გატარებული 2012-2013 წლებში. ნარჩენების შეგროვება ხდებოდა მხოლოდ 10 თემის ცენტრებიდან. სოფლის დასახლებებში ნარჩენების გადაყრა ხდებოდა თვითნებურად შექმნილ ნაგავსაყრელებსა და მდინარეების ნაპირებზე. დღეისათვის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ორგანიზებულია ნარჩენების შეგროვებისა და გატანის პროცესები, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტით ბოლო წლებში შეძენილ იქნა 2 მაღალი გამავლობის ნაგავშიდი და 360-ზე მეტი ნაგავშემკრები კონტეინერი. მიღწეულია შედეგი, რომ თავიდან იქნას აცილებული გარემოს მოსალოდნელი დაბინძურების ფაქტები, მუნიციპალიტეტის სოფლებში 85 პროცენტამდე მოსახლეობისგან ორგანიზებულად ხდება ნარჩენების შეგროვება და გადატვირთვა. მინიმუმამდე შემცირდა უკანონო ნაგავსაყრელების გამოვლენა.

დაბასა და სოფლებში სხვა ინფრასტრუქტურულ ღონისძიებების განხორციელებასთან ერთად გეგმიურად მიმდინარეობს გარე-განათების ქსელი გაფართოება. 2015-2018 წლების პერიოდში სხვადასხვა სოფლებსა და დაბის ცენტრებში 700 ლოკაციაზე მოეწყო გარე-განათების სისტემები. აღნიშნული მიმართულებით სამომავლოდაც იგეგმება ქსელის გაფართოება.

არსებითად მნიშვნელოვანია, მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განვითარების პროცესში, სრულად უნდა იყოს გათვალისწინებული ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის (მ.შ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების) საჭიროებები. ასევე, მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ტურისტების საჭიროებებზე ადაპტირებული მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და სერვისების განვითარება.

ფოკუს-ჯგუფებისა და გამოკითხვის შედეგების გათვალისწინება მოხდა 2021 წლის ბიუჯეტის პროექტსა და 2022-2025 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

- მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული, კომფორტული და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა;
- ეფექტური და მოთხოვნაზე ორიენტირებული მუნიციპალური სერვისების განვითარება;

სამოქმედო გეგმა:

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება;
- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები.
- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ნახაზების შედგენა;
- სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა;
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამა;
- არასაცხოვრებელი შენობა ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა;
- შ.პ.ს. ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი.

ცხრილი №1

ლარებში

N	პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი
II	02 00	ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება	6 763 129	6 583 800	4 422 800	5 084 300
1	02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1 892 420	1 015 000	1 215 000	1 515 000
2	02 02	საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება	919 450	688 800	626 300	576 300
2.1	02 02 01	წყლის სიტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა	493 000	210 400	110 400	10 400
2.2.1.	02 02 02	შპს ქედის წყალკანალი	426 450	478 400	515 900	565 900
3	02 03	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	2 474 259	4 540 000	2 150 000	2 460 000
3.1	02 03 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი	535 900	2 340 000	50 000	60 000

3.2	02 03 02	ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	500 000	1 200 000	1 400 000	1 600 000
3.3	02 03 03	პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა	1 438 359	1 000 000	700 000	800 000
4	02 04	მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	335 000	160 000	210 000	260 000
5	02 05	სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა	42 000	10 000	11 500	13 000
6	02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	750 000	0	0	0
7	02 07	არასაცხოვრებელი შენობა ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა	15 000	10 000	10 000	10 000
8	02 08	შ.პ.ს. ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი	335 000	160 000	200 000	250 000

პროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება
პროგრამის განხორციელების ვადები: 2022-2025 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №1

პროგრამული კოდი: 02 01

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება და ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილება.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია;
- დაბა ქედაში სამრეწველო გზაზე ცემენტ-ბეტონის საფარის მოწყობა;
- მთებზე მოიალადეთა ტრანსპორტირება;
- ბურღვა აფეთქება;
- დაბა ქედის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

შექმნილია სტანდარტების შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურა

პროგრამა: საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2022-2025 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №1

პროგრამული კოდი: 02 02

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში მდგრადი კომუნალური სისტემის შექმნა

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა;

- ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგანში სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა;
- დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ორცვაში არსებული სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია;
- სარწყავი არხების, სასმელი წყლისა და წყალსადენებისათვის მილების შეძენა;
- სს „აჭარის წყლის ალიანსის“ საწესდებო კაპიტალის შენატანი;
- ზვარის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ კვაშტაში წყლის სისტემის მოწყობა;
- სოფელ ქედაში ხაბაზების უბანში 8 ოჯახისათვის ახალი სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა;
- სოფელ კუჭულაში სასმელი წყლის გამანაწილებელი ავზის მოწყობა;
- სოფელ ახოში არსებული საპირფარეშოსათვის სეპტიკის მოწყობა;
- შპს „ქედის წყალკანალი“-ს სუბსიდირება;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ქედის მუნიციპალიტეტის საზღვრებში რეაბილიტირებულია და აშენებულია წყლის სისტემის ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია უწყვეტი და მოთხოვნის შესაბამისი წყალმომარაგება, გაუმჯობესებული ეკოლოგიური და საცხოვრებელი გარემო.

პროგრამა: მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2022-2025 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №1

პროგრამული კოდი: 02 03

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება;

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი;

- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- დაბა ქედაში მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა;
- 26 მაისის ქ. N2-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია;
- სოფელ გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმის რეაბილიტაცია;
- სოფელ გარეტყეში სოფლის სახლის მშენებლობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება;
- დაბა ქედაში რუსთაველი ქ N13 და N15-ის მიმდებარედ ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და მასში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა;
- სოფელ წონიარისის კეთილმოწყობა (ბილიკი და კიბის მოწყობა);
- ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულში შენობის მიმდებარედ პარკის მშენებლობა;
- დაბა ქედაში 9 აპრილის მემორიალის რემონტი;
- ცხმორისის სასაფლაოს შემოღობვა;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი ტერიტორიები.

პროგრამა: მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2022-2025 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №1

პროგრამული კოდი: 02 04

პროგრამის მიზანი:

ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებული საჭირო პროცედურების ჩატარება

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები;
- პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა;
- მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

მომზადებული ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ჩატარებული ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებული საჭირო პროცედურები.

პროგრამა: სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2022-2025 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №1

პროგრამული კოდი: 02 05

პროგრამის მიზანი:

ეკოლოგიურად სუფთა ადგილობრივი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- აგრო-სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაცია;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ეფექტური დაცვა გარეული ცხოველებისგან, „ელექტრო ღობე“.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

ხელშეწყობილია და პოპულარულია ეკოლოგიურად სუფთა ადგილობრივი პროდუქცია

პრიორიტეტის დასახელება - დასუფთავება და გარემოს დაცვა

პრიორიტეტის დასაბუთება:

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალური და კომუნალური მომსახურების ხარისხი, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის განვითარებაზე. მნიშვნელოვანია მისი პირდაპირი კავშირი მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პერსპექტივებთან. ქედის მუნიციპალიტეტის ხედვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროში უკავშირდება ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას. ასევე, გარდა ეკონომიკური განვითარებისა, თავის მხრივ, გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურის არსებობა ხელს უწყობს ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფას და საცხოვრებელი გარემოს ხარისხის გაუმჯობესებას.

მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ ძირითად საზრუნავს წარმოადგენს კეთილსამედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დაბისა და თემების ცენტრების ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა. ქვეპროგრამის ფარგლებში, ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების, ქუჩების და სკვერების გაწმენდა თოვლის საფარისაგან. განხორციელდება დაბასა და თემებში საზოგადოებრივი სარგებლობის 13 საპირფარეშოს პერიოდული დასუფთავებისა და მოვლა-პატრონობის ღონისძიებები, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფითი ღონისძიებები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი საფრთხის თავიდან აცილება.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

- ეფექტური კომუნალური მომსახურების დანერგვა მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე;

დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება, გარე-განათების მოვლა პატრონობა, უპატრონო და მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა, გზის გაწმენდა ჩამოწოლილი მეწყერის მასისაგან, გზის გაწმენდა თოვლის საფარისგან. საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა პატრონობა.

უზრუნველყოფილია - დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება, გარე-განათების მოვლა პატრონობა, უპატრონო და მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა, გზის გაწმენდა ჩამოწოლილი მეწყერისაგან, გზის გაწმენდა თოვლის საფარისგან. საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობა.

პროგრამა: საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2022-2025 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №2

პროგრამული კოდი: 03 00

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში მდგრადი კომუნალური სისტემის შექმნა

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში;

- შპს „ქედის კომუნალურსერვისი“-ს სუბსიდირება;
- ნაგვისშემგროვებელი კონტეინერების შეძენა.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება, გარე- განათების მოვლა პატრონობა, უპატრონო და მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა, გზის გაწმენდა ჩამოწოლილი მეწყერის მასისაგან, გზის გაწმენდა თოვლის საფარისგან. საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა პატრონობა.

უზუნველყოფილია - დასუფთავების მუნიციპალური სერვისის ხარისხიანი ფუნქციონირება, გარე- განათების მოვლა პატრონობა, უპატრონო და მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა, გზის გაწმენდა ჩამოწოლილი მეწყერისაგან, გზის გაწმენდა თოვლის საფარისგან. საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობა.

ცხრილი №2

N	პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი
III	03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 124 000	1 070 000	1 200 000	1 500 000
1	03 01	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში	1 124 000	1 070 000	1 200 000	1 500 000
1.1	03 01 01	შ.პ.ს. ქედის კომუნალურსერვისი	1 094 200	1 000 000	1 200 000	1 500 000
1.2	03 01 02	ნაგვისშემგროვებელი კონტეინერების შეძენა	30 000	70 000	0	0

პრიორიტეტის დასახელება - განათლება

პრიორიტეტის დასაბუთება:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს. საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ განსაზღვრავს

მუნიციპალიტეტის ვალდებულებებსა და უფლებამოსილებებს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის უზრუნველყოფა ქედის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტის განვითარებასთან ერთად, მოთხოვნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებზე დღითიდღე იზრდება. არსებული მუნიციპალური საბავშვო ბაღები რთულად უმკლავდებიან მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ბაგა-ბაღების კეთილმოწყობის აუცილებლობას. გარდა ამისა, სააღმზრდელო პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებასა და აღმზრდელთა პერმანენტულ პროფესიულ გადამზადებას მოითხოვს.

არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ქედის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა ქედის მოსახლეობისთვის.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტანდარტის უზრუნველყოფა.

სამოქმედო გეგმა:

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

- სკოლამდელი აღზრდა და განათლება;

ცხრილი №3

N	პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი
IV	04 00	განათლება	2 154 300	1 800 000	1 850 000	1 900 000
1	04 01	სკოლამდელი აღზრდა და განათლება	2 154 300	1 800 000	1 850 000	1 900 000
1.1.	04 01 01	ა.ა.ი.პ ქედის ბაგა ბაღების გაერთიანება	2 154 300	1 800 000	1 850 000	1 900 000

პროგრამა: სკოლამდელი აღზრდა და განათლება

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

განათლება

პროგრამის განხორციელების ვადები: 2022-2025 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №3

პროგრამული კოდი: 04 01

პროგრამის მიზანი:

სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ა(ა)იპ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაზრდილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ხელმისაწვდომობა და შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული საადმინისტრაციო გარემო;

პრიორიტეტი: კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

ქედის მუნიციპალიტეტის, როგორც მაღალმთიანი მუნიციპალიტეტის კულტურული და სპორტული ცენტრის ცნობადობის ამაღლება; ახალგაზრდობის განვითარებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობების განვითარება.

პრიორიტეტის დასაბუთება:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმყოფადობის, შემოქმედებითი საქმიანობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება; მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ბიბლიოთეკების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა.

ამასთან, უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, მუნიციპალიტეტი ეტაპობრივად ყალიბდება, როგორც მნიშვნელოვანი ტურისტული და კულტურული ცენტრი. მუნიციპალიტეტში რეგულარულად იმართება რეგიონული და მუნიციპალური მასშტაბის ფესტივალები და კულტურული ღონისძიებები.

ქედის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ქედის, როგორც მაღალმთიანი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის ამაღლებას.

ამასთან, ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელოვანების განვითარების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია, რომ კულტურული ცენტრის ფორმირების პროცესში, მუნიციპალიტეტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მისი თვითმყოფადობის შენარჩუნება და ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.

სპორტის სფეროში თვითმმართველი ერთეულის ვალდებულებები და უფლებამოსილებები განსაზღვრულია კანონმდებლობით (საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი,“ საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 4 აპრილის განკარგულება #601 „სპორტის სახელმწიფო დოკუმენტის“ დამტკიცების შესახებ.)

ქედის მუნიციპალიტეტისათვის, მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, ასევე მასობრივი სპორტის განვითარება და პროფესიული სპორტის განვითარების ხელშეწყობა. როგორც კულტურის სფეროში, ასევე სპორტის მიმართულებითაც, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და რაც მთავარია, მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. მუნიციპალიტეტის ხედვა სპორტის მიმართულებით უკავშირდება მასობრივ სპორტში ჩართვის ხელმისაწვდომობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული გაერთიანებების განვითარებას.

ქედის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტი ახალგაზრდობის სრულფასოვანი განვითარების ხელშეწყობაა. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ საკუთარ უფლებამოსილებას წარმოადგენს ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა, (საქართველოს მთავრობის განკარგულება #553 2.04. 2014 წ.)

ქედის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია უზრუნველყოს ახალგაზრდების საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის და მონაწილეობის შესაძლებლობები და ასევე ხელი შეუწყოს ახალგაზრდობის განვითარებას, კონკურენტუნარიანობის ზრდას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

ქედის, როგორც მაღალმთიანი მუნიციპალიტეტის კულტურული და სპორტული ცენტრის ცნობადობის ამაღლება; ახალგაზრდების განვითარებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობების განვითარება.

სამოქმედო გეგმა:

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

- სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- კულტურის განვითარების ხელშეწყობა;
- ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა;
- კულტურის სახლებისა, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მშენებლობა-რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა.

ცხრილი №4

N	პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი
V	05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	3 315 050	2 050 000	2 235 000	2 485 000
1	05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	1 281 000	830 000	910 000	1 005 000
1.1.	05 01 01	ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლა	346 600	370 000	400 000	445 000
1.2.	05 01 02	სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა	80 000	120 000	130 000	140 000
1.3.	05 01 03	სპორტული კლუბების განვითარების მხარდაჭერა	234 000	240 000	280 000	320 000
1.4.	05 01 04	სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	620 400	100 000	100 000	100 000
2	05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2 034 050	1 220 000	1 325 000	1 480 000
2.1.	05 02 01	ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრი	873 450	800 000	850 000	950 000
2.2.	05 02 02	ა.ა.ი.პ ქედის ხელოვნების სკოლა	147 800	140 000	150 000	170 000
2.3.	05 02 03	ა.ა.ი.პ ქედის მუზეუმი	94 400	100 000	120 000	130 000
2.4.	05 02 04	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა	81 000	100 000	110 000	120 000
3	05 03	ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	35 000	80 000	95 000	110 000
2.5.	05 04	კულტურის სახლებისა, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მშენებლობა- რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა	802 400	500 000	300 000	200 000

პროგრამა: სპორტის განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის განხორციელების ვადები: 2022-2025 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №4

პროგრამული კოდი: 05 01

პროგრამის მიზანი:

ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, საზოგადოების აქტიური ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სპორტული მიღწევების გაუმჯობესება

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლა
- სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა;

- სპორტული კლუბების განვითარების მხარდაჭერა;
 - საფეხბურთო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებები;
 - სარაგბო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებები;
- სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია;
 - სოფელ ზედა მახუნცეთში მინი სპორტული მოედნის მოწყობა;
 - სოფელ კვაშტაში მინი სპორტული მოედნის მოწყობა;
 - დაბა ქედამი აბუსერიძის ქუჩის მიმდებარედ მინი სპორტული მოედნის მოწყობა;
 - სოფელ ვაიოში სპორტული მოედნის მიმდებარედ სპორტული ატრაქციონის მოწყობა;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

უზრუნველყოფილია საზოგადოების ჩართულობა სპორტის სხვადასხვა სახეობებში, გაუმჯობესებულია ქედელი სპორტსმენების სპორტული მიღწევები.

პროგრამა: კულტურის განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის განხორციელების ვადები: 2022-2025 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №4

პროგრამული კოდი: 05 02

პროგრამის მიზანი:

ქედის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული აქტივობების განვითარების ხელშეწყობა, კულტურული ცხოვრების აქტივობის გაზრდა, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა, კულტურულ საგანმანათლებლო სფეროების განვითარების ხელშეწყობა, ეროვნული ღონისძიებების პაპულარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება, დაცვა და პოპულარიზაცია.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ა(ა)იპ - ქედის კულტურის ცენტრი;
- ა(ა)იპ - ქედის სახელოვნებო სკოლა;
- ა(ა)იპ - ქედის ისტორიული მუზეუმი;
- კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაზრდილია მუნიციპალიტეტის კულტურული აქტივობა, ხელშეწყობილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა, შენარჩუნებული და დაცულია კულტურული მემკვიდრეობა.

პროგრამა: ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის განხორციელების ვადები: 2022-2025 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №4

პროგრამული კოდი: 05 03

პროგრამის მიზანი:

ახალგაზრდობის გააქტიურება და სამოქალაქო აქტივობებში ჩართვა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება, ახალგაზრდობის შესაძლებლობების რეალიზება და მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

შექმნილია ახალგაზრდობის განვითარებაზე ორიენტირებული გარემო, უზრუნველყოფილია ახალგაზრდობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა და ხელშეწყობილია მათი სამოქალაქო ინიციატივები

პროგრამა: კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მშენებლობა რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

პროგრამის განხორციელების ვადები: 2022-2025 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №4

პროგრამული კოდი: 05 04

პროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია არსებული კულტურის სახლის შენობის რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოში არსებული კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის რემონტი;
- სოფელ გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმისათვის ინვენტარის შეძენა;

- სოფელ მერისის კულტურის სახლის რემონტი;

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გარემონტებული და კეთილმოწყობილი კულტურის სახლი და მუზეუმები.

პრიორიტეტის დასახელება - ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პრიორიტეტის დასაბუთება :

მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ასევე სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესება საქართველოს მთავრობისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც განსაზღვრულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიით - „საქართველო- 2020“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო სერვისებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალურად მოწყვლადი კატეგორიის მოსახლეობისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით. ხოლო სოციალური დაცვის სერვისების განვითარების კუთხით, რეგიონის პრიორიტეტს სოციალური დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა, ასევე, მოწყვლადი ჯგუფების სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა წარმოადგენს.

ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება ძირითადად უზრუნველყოფილია სახელმწიფო ბიუჯეტით (საქართველოსა და აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების პროგრამები) დაფინანსებული პროგრამებით, თუმცა რჩება სამედიცინო სერვისების ნაწილი, რომელთა სრულად დაფინანსება აღნიშნული პროგრამების ფარგლებში ვერ ხერხდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ქედის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან პრიორიტეტს წამოადგენს სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფა ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რაც დაკავშირებულია მკურნალობასთან და რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებასთან სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, ასევე საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფებისათვის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით ასევე წარმოადგენს ავადობისა და სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზების პრევენცია, ასევე შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება, რაც საზოგადოების ჯანმრთელობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას შეუწყობს ხელს. აღნიშნულის მისაღწევად, აგრეთვე ფუნდამენტურ მნიშვნელობას იძენს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო და ეპიდემიურად კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა.

სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით, ქედის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი თანხვედრაში მოდის საქართველოს მთავრობის პრიორიტეტულ მიმართულებებთან და

მიმართულია სოციალურად დაუცველი ოჯახების, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საბაზისო სოციალური გარანტიებით და მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფისკენ.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები ძირითადად ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში. თუმცა რჩება სოციალური უზრუნველყოფის მომსახურეობის ნაწილი, რომლის დაფინანსება აუცილებელია განხორციელდეს როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებიდან, ასევე მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებიდან და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე.

პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზანი:

მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება; ავადობის და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის განვითარების რისკის შემცირება; ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა; მოქალაქეთა ღირსეული ცხოვრების პირობების უზრუნველყოფა; მოსახლეობის სიღარიბით, ხანდაზმულობით და შეზღუდული შესაძლებლობებით გამოწვეული სოციალური რისკების შემცირება.

სამოქმედო გეგმა:

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი პროგრამების განხორციელება:

- ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა;
- სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა.

ცხრილი №5

N	პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროექტი	2025 წლის პროექტი
VI	06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 883 160	1 299 200	1 368 000	1 433 000
1	06 01	ჯანმრთელობის დაცვა	974 960	779 000	798 000	820 000
2	06 02	სოციალური უზრუნველყოფა	908 200	520 200	570 000	613 000

პროგრამა: ჯანმრთელობის დაცვა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამის განხორციელების ვადები: 2022-2025 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №5

პროგრამული კოდი: 06 01

პროგრამის მიზანი:

მოსახლეობის სიცოცხლის გახანგრძლივება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ამბულატორიული მომსახურების პროგრამა;
- სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება;
- თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის;
- სამკურნალო/გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარების ხელშეწყობა;
- ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება;
- მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
- ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
- პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია;
- ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია;
- სოფელ დოლოგანში ადმინისტრაციული შენობისა და ამბულატორიის რეაბილიტაცია

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაზრდილია ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

პროგრამა: სოციალური უზრუნველყოფა

პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა:

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

პროგრამის განხორციელების ვადები: 2022-2025 წლები

პროგრამის ბიუჯეტი: იხ. ცხრილი №5

პროგრამული კოდი: 06 02

პროგრამის (დასაბუთება) მიზანი:

საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობების გაუმჯობესება

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა;
- ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება;
- ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის;
- ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი ფინანსური დახმარება;
- გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება;
- ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა;
- სამედიცინო და სოციალური რეზილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რეზილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა;
- საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა;
- ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლის პროგრამა;
- 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის ფინანსური დახმარების უზრუნველყოფა;
- 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება;
- საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის;
- სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება.

პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი:

გაუმჯობესებულია საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობები.

**ქედის მუნიციპალიტეტის 2022 წლის
ადგილობრივ ბიუჯეტში შესატანი ცვლილების რეესტრი**

№	პროგრამული კოდი	დასახელება	თანხა -/+	შენიშვნა
1		ბანკის პროცენტი	72 500	
		ნაშთიდან მოსესხება	322 090	
2		სპეციალური დანიშნულების ტრანსფერი (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)	750 000	
4	02 03 03 01	დაბა ქედაში რუსთაველის ქ. № 13 და № 15-ს მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.	201 000	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
5	02 02 01 01	ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგანში სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა	18 900	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
6	02 02 01 02	დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ორცვაში არსებული სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	7 800	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
7	05 04 01	ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოში არსებული კულტურის სახლისა და ადმინისტრაციული შენობის რემონტის სამუშაოების შესყიდვა	190 000	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
8	05 01 04 02	სოფელ კვაშტაში მინი სპორტული მოედნის მოწყობა	51 200	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
9	05 01 04 01	სოფელ ზედა მახუნცეთში მინი სპორტული მოედნის მოწყობა	33 100	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
10	05 01 04 03	დაბა ქედაში აბუსერიძის ქუჩის მიმდებარედ მინი სპორტული მოედნის მოწყობა	60 300	ტენდერიდან მიღებული ეკონომია
11	02 01 02	სამრეწველო გზაზე გზის საფარის მოწყობა	12 100	დაზუსტდა ღონისძიების ღირებულება
ჯამი			1 718 990	
№	პროგრამული კოდი	ასიგნებების დასახელება	თანხა +/-	შენიშვნა

2	05 02 01	ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრი	8 650	საქონელი და მომსახურება (ექსპო ბათუმი) 3800, ფოლკლორის ფესტივალი 3000 ლარი, ფართო გამოყენების კიბე 1850 ლარი (არაფინანსური აქტივი)
3	01 02 01	სარეზერვო ფონდი	50 000	(10 000 ლარი დამატებულია 5%-იანი გადატანით მერიიდან)
4	05 01 01	ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლა	19 000	17500 არაფინანსური აქტივი (საჭიდაო ლეიბი), მუხლიდან მუხლში 1530 ლარი (შრომის ანაზღაურებიდან სოციალურში), საქონელი და მომსახურება 1500 ლარი
5	02 04 03	მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა	30 000	
6	01 02 04	მგფ-დან მიღებული სესხის პროცენტი	8 000	
7	01 02 05	ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასახმარების სოციალური პროგრამები	6 740	
8	06 01 01	ამბულატორიული მომსახურება	6 600	
9	01 02 02	მონაწილეობითი ბიუჯეტი	0	მუხლიდან მუხლში (სხვა ტრანსფერიდან საქონელი და მომსახურებაში 45000 ლარი)
10	01 01 02	მერია	10 000	(10 000 ლარი შეესება 5%-იანი გადატანიდან), მუხლიდან მუხლში შრომის ანაზღაურებიდან სოციალურში 6820 ლარი)
11	04 01 01	ა.ა.ი.პ. ქედის ზაგა-ზაღების გაერთიანება	0	მუხლიდან მუხლში (შრომი სანაზღაურებიდან სოციალურში 2000 ლარი)
12	06 02 02	ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება	5 500	მუხლიდან მუხლში (არაფინანსურიდან სოციალურში 1000 ლარი)
13	02 03 01 04	დაბა ქედაში 26 მაისის ქუჩა № 2-ში მდებარე ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია	6 800	
14	02 02 01 07	სოფელ კუჭულაში სასმელი წყლის გამანაწილებელი ავზის მოწყობა	6 800	
15	05 04 03	სოფელ მერისის კულტურის სახლის რემონტი	7 400	
16	06 02 09	ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლით შეცვლის პროგრამა	45 300	
17	05 04 02	სოფელ გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმისათვის ინვენტარის შეძენა	15 000	485 ლარი არაფინანსურიდან საქონელში
18	02 03 01 06	სოფელ გარეტყეში სოფლის სახლის მშენებლობა	50 000	

19	02 02 01 08	სოფელ ახოში არსებული საპირემოსათვის სექტიკის მოწყობა	28 000	
20	02 03 03 05	დაბა ქედაში 9 აპრილის მემორიალის რემონტი	9 000	
21	06 02 06	ჰემოდიალუზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა	4 000	
22	06 02 07	სამედიცინო და სოციალური რეზილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რეზილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა	10 000	
23	06 02 11	0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება	3 600	ახალი პროგრამა
24	03 01 01	შპს „კომუნალურსერვისი“	14 200	სუბსიდია 10200 ლარი, კაპიტალური ხარჯი 4000 ლარი
25	02 08	შპს „ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“	20 500	სუბსიდია 20500 ლარი, მუხლიდან მუხლში (სუბსიდიიდან კაპიტალურ ტრანსფერში 9200 ლარი)
26	05 01 03 02	შპს „სარაგბო კლუბი ფირალები“	16 700	სუბსიდია 16 700, მუხლიდან მუხლში (სუბსიდიიდან კაპიტალურ ტრანსფერში 2200 ლარი)
27	05 01 03 01	საფეხბურთო კლუბი ბეთლემი	10 000	სპორტული ინვენტარის შეძენა
28	05 02 02	ააიპ ქედის სახელოვნებო სკოლა სახელოვნებო სკოლა	2 800	საქონელი და მომსახურება
29	02 03 01 05	სოფელ გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახლმუზეუმის რეაბილიტაცია	79 100	
30	06 01 08	სოფელ დოლოგანში ადმინისტრაციული შენობისა და ამბულატორიის რეაბილიტაცია	17 300	
31	06 01 08 01	პირველი მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია	58 000	
32	06 01 08 02	ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია	55 000	
33	02 03 01 02	დაბა ქედაში მრავალფუნქციური შენობის მშენებლობა	300 000	

34	02 03 03 05	ცხმორისის სასაფლაოს შემოღობვა	65 000	
35	02 09	სოფლის მხარდამჭერი პროგრამა	750 000	
ასიგნებების ჯამი			1 718 990	X
ს ხ ვ ა ო ბ ა			0	X

ქედის მუნიციპალიტეტის 2020-2021-2022 წლების ადგილობრივი

ბიუჯეტის განმარტებითი ბარათი

ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მოკლე მიმოხილვა

ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის საბოლოო შედეგების ანალიზი

შ ე მ ო ს უ ლ ო ბ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის N10 დადგენილებით მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებული წლიური მოცულობა 11631356 ლარის ოდენობით განისაზღვრა, ხოლო დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 12108471 ლარით.

ქედის მუნიციპალიტეტის 2020 წლის მდგომარეობით მიღებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 2292491.99 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სპეციალური ტრანსფერი 1600000 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - 1099151.07 ლარი, გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 7127710.99 ლარი, მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 6792099.07 ლარი, ქონების გადასახადი 335612 ლარი, სხვა შემოსავლებიდან სულ მიღებული იქნა 236508 ლარი, მათ შორის: პროცენტები 20454 ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 85835 ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 13184 ლარი, სანებართვო მოსაკრებელი 37238 ლარი, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 13482 ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები 23871 ლარი, ნებაყოფილობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე 42445 ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან 122530 ლარი. 2020 წლის ფაქტიური შემოსულობები დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით შესრულებულ იქნა 103,50%-ით.

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის 2020 წლის გადასახდელების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 12 1084471 ლარის ოდენობით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 11650162,92 ლარი. (96.21%)

I. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 2020 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 2176034,91 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2118596,52 ლარი, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 556 460 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 551182 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1511282 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1470461 ლარი.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის სამსახურის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 59 900 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 52732 ლარი.

მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების მომსახურება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 44 315 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 44 221,22 ლარი.

II. ინფრასტრუქტურის და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 439338 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1403448 ლარი, საიდანაც

შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 854015 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 818247 ლარი,

სოფელ აქუცის ქვედა უბანში მისასვლელ გზაზე მდინარე აჭარის წყალზე გადასასვლელი საავტომობილო ხიდის მშენებლობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 503 023 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 503022 ლარი,

ქედის მუნიციპალიტეტში აბაშიძის ქუჩის რეაბილიტაცია 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 69200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 69129 ლარი.

სოფელ დოლოგანთან დუმბაძეების უბანში, მდინარე აჭარისწყალზე საავტომობილო ხიდის მშენებლობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 8100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 8050 ლარი.

მთებზე მოიალაღეთა ტრანსპორტირების 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4999,89 ლარი.

საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის და სერვისების განვითარება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 555 510 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 519759 ლარი, მათ შორის

სოფელ ორცვის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 124 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 119 311 ლარი,

სს „აჭარის წყლის ალიანსი“-ის საწესდებო კაპიტალის შეტანა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 15600 ლარი,

სარწყავი არხების, სასმელი წყლისა და წყალსადენებისათვის მილების შეძენის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 12600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 11 777 ლარი.

ზუნდაგის ბაგა-ბაღის წყლის სისტემის რეაბილიტაცია 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 29050 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 28 155 ლარი.

დანდალოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების ხარაულა-ჯალაბაშვილებისა და დანდალოს სასმელი წყლის რეაბილიტაცია 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 28500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 16422 ლარი,

მახუნცეთში (აწჰესის დასახლებაში) საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 19800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 18634 ლარი,

შპს ქედის წყალკანალი 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 325 460 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 325459 ლარი.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1823960 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 742787 ლარი, მათ შორის:

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 483 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 474518 ლარი.

დაბა ქედაში მ. კოსტავას ქუჩა #3 მდებარე ორსართულიანი შენობის რეკონსტრუქცია (მუზეუმის განსათავსებლად) 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 146500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 106434 ლარი.

დაბა ქედაში მდინარე აკავრეთასა და აჭარის წყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 386160 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 382 835 ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 174 820 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 158613 ლარი.

დაბის ტერიტორიის კეთილმოწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 22600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 22516 ლარი.

დაბა ქედაში ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალური პარკის კეთილმოწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 371 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 371900 ლარი.

ზვარის ცენტრის კეთილმოწყობა (მოსაცდელის მშენებლობა) 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5500 ლარი.

დაბა ქედაში თედო სახოკიას ქუჩა №3 საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ ფერდსამაგრი კედლის მოწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 87 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 85 004 ლარი.

დაბა ქედაში 26 მაისის ქუჩის კეთილმოწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 30030 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 29126 ლარი.

დაბა ქედაში თამარ მეფის ქუჩის კეთილმოწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 33000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 90291 ლარი.

სოფელ ქედაში მე-3 ქუჩის I ჩიხი №2 საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ ფერდსამაგრი კედლის მოწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 22250 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 21549 ლარი.

ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და აღრიცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2870 ლარი.

პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 214 477 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 199466 ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის პროგრამა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 6500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6435 ლარი.

არასაცხოვრებელი შენობა ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3600 ლარი.

შ.პ.ს. ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 71 450 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 70681 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 748 056 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 622 036 ლარი.

III. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და ნარჩენების გატანა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 541650 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 541566 ლარი, მათ შორის:

შპს ქედის კომუნალურსერვისი 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 541650 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 541566 ლარი.

ნაგვისშემგროვებელი კონტეინერების შეძენა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 30 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 29 640 ლარი.

IV. განათლება

განათლების სფეროს 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1352306 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1327564 ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლების დაფინანსება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1352306 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1327564 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 224376 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1205833 ლარი.

ახოს ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 70 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 66 789 ლარი.

დაბა ქედის N2 ბაგა-ბაღის რემონტი 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 57230 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 54943 ლარი.

V. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1774915 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1739682 ლარი, მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 900535 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 869946 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 266910 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 261221 ლარი.

სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 15660 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 15622 ლარი.

საფეხბურთო კლუბის მხარდაჭერი ღონისძიებების 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 76200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 75115 ლარი.

სარაგბო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებების 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 80000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 79209 ლარი.

სპორტული სტადიონების რეაბილიტაცია (დაბა ქედა 105300, სოფელი პ.მაისი 66900, სოფელი ახო 63000, სოფელი ახო #1 საშუალო სკოლასთან 64800) 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 461 765 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 438779 ლარი.

კულტური განვითარების ხელშეწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 868780 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 864466 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 654300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 651180 ლარი.

ა.ა.ი.პ ქედის ხელოვნების სკოლის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 120 880 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 119993 ლარი.

ა.ა.ი.პ ქედის მუზეუმის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 68400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 68146 ლარი.

კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა 2019 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 25200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 25147 ლარი.

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2994 ლარი.

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2277 ლარი.

VI. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროს 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 365274 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1322034 ლარი, მათ შორის:

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიების 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 407792 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 379153 ლარი, საიდანაც

ამბულატორიული მომსახურება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 154092 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 153841 ლარი.

სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 154000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 133012 ლარი.

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 92300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 92300 ლარი.

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით რიგი დაწესებულებების სადებიზინფექციო დამუშავებისათვის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2400 ლარი.

სამკურნალო/გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარების ხელშეწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 5000 ლარი.

სოციალური დაცვის ღონისძიებების 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 957482 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 942881 ლარი, საიდანაც

სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 24000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 23858 ლარი.

ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 31595 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 29769 ლარი.

ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 13750 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 13025 ლარი.

ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 66000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 63000 ლარი.

გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 46355 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 45155 ლარი.

ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 13800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 12686 ლარი.

სამედიცინო და სოციალური რეზილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია-რეზილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 15000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 12243 ლარი.

სტიქიისა და უბედური შემთხვევების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (ადგილობრივი და აჭარის ა/რ სარეზერვო ფონდი) 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 620582 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 619083 ლარი.

საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 29 900 ლარი. ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 28487 ლარი.

ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლების შესაძენად ფინანსური დახმარება 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 60500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 60475 ლარი.

0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის მატერიალური დახმარების უზრუნველყოფა 2020 წლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 36000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 35100 ლარი.

**ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის
გეგმა-შესრულება 2021 წლის წლიური მდგომარეობით**

შ ე მ ო ს უ ლ ო ბ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 28 დეკემბრის N28 დადგენილებით მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 17 416 460 ლარით.

ქედის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მდგომარეობით მიღებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 4 777 813.87 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - 982 301.51 ლარი, გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 9 484 720.83 ლარი, მათ შორის: დამატებითი ღირებულების გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 9 155 635.32 ლარი, ქონების გადასახადი 329 085.51 ლარი, სხვა შემოსავლებიდან სულ მიღებული იქნა 537 312.41 ლარი, მათ შორის: პროცენტები 128 949.76 ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 67 299.76 ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი და გადასახადები 22 266.10 ლარი, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 17 555.31 ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები 29 314.21 ლარი, ტრანსფერები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული 271 928 ლარი. არაფინანსური აქტივების კლებიდან 31 516 ლარი.

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის 2021 წლის გადასახდელების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 17 416 460 ლარის ოდენობით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 15 483 951.22 ლარი.

I. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 2021 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3 623 288 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 163 948 ლარი, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 575 500 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 552 257 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 908 328 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 821 979 ლარი.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის სამსახურის 2021 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 73 800 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 62 220 ლარი.

მონაწილეობითი ბიუჯეტი 2021 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 950 000 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 618 073 ლარი.

მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში 2021 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 68 800 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 68 776 ლარი.

